

**ახალციხის რაიონში
ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების
კომპლექსური ტექნიკური ანგარიში
(ძეგლი IV-266, 320, სოფელი აწყური, 211/212-ე კმ)**

ავტორები

ვახტანგ ლიხელი, გიორგი რჩეულიშვილი, მერაბ კასრაძე, რ. რუსიშვილი,
ნინო კალანდაძე, ნანა პაპუაშვილი, ლ. ყაზახიშვილი, გელა გობეჯიშვილი

მომზადდა
საქართველოს ეროვნული მუზეუმის
ოთარ ლორთქიფანიძის
არქეოლოგიის ცენტრი
უზნადის ქ. №14
0102 თბილისი, საქართველო

გადაეცა
BTC/SCP მიღსადენების კომპანიას
საბურთალოს ქ. №38
0194 თბილისი, საქართველო

სამუშაო შესრულდა კონტრაქტების საფუძველზე
C-06-BTC-116628
C-06-SCP-116630
HL-241

I ნაწილი

2007

სარჩევი

მოკლე მიმოხილვა	- - - - -	
რუკების, ნახაზების, ტაბულების, დანართების სია	- - - - -	
1.0. შესავალი	- - - - -	1
2.0. გარემო ფონი	- - - - -	3
2.1. ძეგლის მდებარეობა და აღწერა	- - - - -	3
2.2. წარსული გარემო	- - - - -	3
2.3. მიწის გამოყენების ისტორია	- - - - -	5
3.0. კულტურული ფონი	- - - - -	6
3.1. პრეისტორიული და ისტორიული კონტექსტი	- - - - -	6
3.2. წარსულში ჩატარებული კვლევის მიმოხილვა	- - - - -	17
4.0. მეთოდოლოგია	- - - - -	18
4.1. საველე მეთოდები	- - - - -	18
4.2. ლაბორატორიული მეთოდები	- - - - -	18
5.0. შედეგები	- - - - -	20
5.1. ძირითადი მონაცემების მიმოხილვა	- - - - -	20
5.2. ძეგლები	- - - - -	21
5.3. არტეფაქტები	- - - - -	35
6.0. ინტერპრეტაცია	- - - - -	38
7.0. დასკვნები და რეკომენდაციები	- - - - -	40
8.0. ბიბლიოგრაფია	- - - - -	42
დანართების სია		
დანართი B. ლითონის მასალის კვლევის ანგარიში	- - - - -	44
დანართი C-1. პალეოზოოლოგიური კვლევის ანგარიში	- - - - -	46
დანართი D-1. პალეოეთნობოტანიკური კვლევის ანგარიში		
დანართი E-1. პალინოლოგიური კვლევის ანგარიში	- - - - -	51
დანართი E. ძირითადი პერსონალის სია	- - - - -	56
დანართი G. ხელმძღვანელი პირის რეზიუმე	- - - - -	57
დანართი A. არტეფაქტების ნუსხა		
დანართი C2. პალეოზოოლოგიური მასალის ნუსხა		
დანართი D2. პალეობოტანიკური მასალის ნუსხა		
დანართი E2. პალინოლოგიური მასალის ნუსხა		
დანართი F. ძირითადი პერსონალი		
დანართი G. ხელმძღვანელი პირის რეზიუმე		
დანართი H. ნებართვები და სერთიფიკატები		

მოკლე მიმოხილვა

ეს ანგარიში წარმოადგენს მილსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით ჩატარებული არქეოლოგიური გამოკვლევების შედეგებს. კვლევა ჩატარდა IV-270 ძეგლზე, რომელიც მდებარეობს სამცხეში, ახალციხის რაიონში, სოფ. აწყურის მიდამოებში, მილსადენის 211-ე და 212-ე კმ-ზე.

გადარჩენილი არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტის ბორჯომის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, ვახტანგ ლიხელის ხელმძღვანელობით, 2004-2005 წლებში.

გათხრების შედეგად აღმოჩენილი და შეწავლილია XI-XVII საუკუნეების რვა მარანი. შესწავლილია მათი ტექნიკური აღჭურვილობა, დადგენილია ტექნოლოგიური დეტალები, ადგილობრივი სამონეტო მიმოქცევის თავისებურებები, სამშენებლო მასალის ხასიათი და სხვა. ინტერდისციპლინარული გამოკვლევების შედეგად გამოვლენილია მეურნეობის ფართო პროფილი (ხორბლის, ჭვავის, ყურძნის, ზეთისხილის მოყვანა, მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის მოშენება).

გამოკვლევების შედეგად მიღებულია ახალი ინფორმაცია ძველი ქართული მეღვინეობის შესახებ. ერთ-ერთ მარანში დადასტურდა საკულტო-სარიტუალო დანიშნულების მცირე ფორმები, რაც იშვიათ აღმოჩენათა რიგს განეკუთვნება და ადასტურებს აქამდე მხოლოდ ეთნოგრაფიულად ცნობილ ინფორმაციას.

ტაბულების აღწერილობა

- ტაბ. I. საქართველოს რუკა.
- ტაბ. II. გათხრების გეგმა თხრილების მდებარეობის მითითებით.
- ტაბ. III. ძეგლი IV 320, გეგმა.
- ტაბ. IV. ძეგლი IV 266, გეგმა.
- ტაბ. V. აწყური, ძეგლი IV 320, თხრილი №9, გეგმა.
- ტაბ. VI. აწყური, ძეგლი IV 320, თხრილი №12, გეგმა.
- ტაბ. VII. აწყური, ძეგლი IV 320, თხრილი №12, ჭრილები №№ 1-1 და 2-2.
- ტაბ. VIII. აწყური, ძეგლი IV 266, თხრილები №№ 20 და 21. გეგმები.
- ტაბ. IX. აწყური, ძეგლი IV 320, თხრილი №18. გეგმა.
- ტაბ. X. ა) აწყური, თხრილი №9, მარანი, ხედი სამხრეთიდან.
ბ) აწყური, თხრილი №12, საქაჯავი, ხედი დასავლეთიდან.
გ) აწყური, თხრილი №20, თაღარი ხედი აღმოსავლეთიდან.
- ტაბ. XI. აწყური, შუასაუკუნეების კერამიკის კრებითი ტაბულა ძეგლებიდან IV-266 და IV 320.
- ტაბ. XII. ა) აწყური, თაღარი თხრილი №20-დან.
ბ) ფილა წარწერით “წმ. გიორგი” თხრილი №9-დან.
- ტაბ. XIII. აწყური, მოჭიქული კერამიკა ძეგლებიდან №№ 266 და 320.
- ტაბ. XIV. აწყური, ძეგლი №266, ლითონის ნივთები:
1) ტყვიის ბეჭელი;
2) ლითონის ნივთები გაწმენდამდე;
3) ლითონის ნივთები გაწმენდის შემდეგ.
- ტაბ. XV. აწყური, ოსტეოლოგიური მასალა ძეგლიდან №266;
1) ძროხისა და 2) ღორის ნაშთები.
- ტაბ. XVI. აწყური. პალეობოტანიკური მასალა თხრილებიდან №№ 20 და 21.
- ტაბ. XVII. აწყური, მიწათმოქმედების ელემენტები, x600. 1-7 – კულტურული ვაზი (*Vitis vinifera*); 8, 10 – თხილი (*Corylus*); 9 – კაკალი (*Juglans regia*); 11, 12 – ზეთისხილი (*Olea europea*); 13, 16 – ნაცარქათამა (*Chenopodium album* type); 14 – ციხორიუმი (*Cichorioidae*); 15 – მატიტელა (*Polygonum aviculare* type); 17 – ნარი (*Carduus*); 18-20 ხორბალი (*Triticum*).
- ტაბ. XVIII. აწყური, ტყის ელემენტები, x600: 1 – ფიჭვი (*Pinus*); 2 – ნაძვი (*Picea*); 3 – ფშატი (*Elaeagnus* type); 4 – წიფელი (*Fagus orientalis*); 5 – მუხა (*Quercus*); 6, 8 – რცხილა (*Carpinus caucasica*); 7 – ჯაგრცხილა (*Carpinus orientalis*); 9 – მურყანი (*Alnus*); 10 – ცხრატყავა (*Lonicera*); 11 – პტერისი (*Pteris* type); 12 – ეთედრა (*Ephedra*); 13 – ტაბელა (*Pteris cretica*); 14 – გვიმრანაირი (*Polypodiaceae*); 15 – გველის ენა (*Ophioglossum vulgate*).
- ტაბ. XIX. აწყური, ტექსტილის ბოჭკოები: 1-4 – ბამბა; 5,6 – სელი, x800.
- ტაბ. XX. აწყური, ტექსტილის ბოჭკოები: ბამბის ძაფის ნაშთები, x800.

1.0 შესავალი

კვლევის მიზანი

პროექტის მიზანი იყო გადარჩენითი არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარება სამცხეში, ახალციხის რაიონში, სოფელ აწყურთან, მილსადენის 211-ე და 212-ე კმ-ზე მდებარე IV-266, 273, 320 ძეგლებზე. გათხრების შედეგად აღმოჩენილი და შესწავლილია XI-XVII საუკუნეების რვა მარანი.

პროექტის სპონსორი

საველე და ლაბორატორიული სამუშაოები დააფინანსა BTC მილსადენის კომპანიამ.

ნებართვები და კონტრაქტები

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული არქეოლოგიური კომისიის ნებართვით, ვახტანგ ლიჩელს მიენიჭა BTC მილსადენის აწყურის მონაკვეთზე არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარების უფლებამოსილება.

საველე სამუშაოები ჩატარდა შემდეგი კონტრაქტების საფუძველზე: C-03-BTC-52923, C-03-SCP-52927, HL-194, 196 და 197.

სამართლებრივი საფუძვლები

საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული არქეოლოგიური კომისია, მოთხოვნისამებრ, გასცემდა ნებართვას და არქეოლოგიური გათხრების ჩატარების უფლებამოსილებას ანიჭებდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის (ასე ეწოდებოდა ორგანიზაციას ნებართვის გაცემის მომენტში. ახლა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის ცენტრი) წარმომადგენელს. ნებართვა გულისხმობს არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებას არსებული ინსტრუქციის შესაბამისად.

გათხრების თარიღი

საველე და ლაბორატორიული სამუშაოები კვლევა ჩატარდა 2004-2005 წლებში.

მილსადენის მშენებლობის დროს განადგურდა ერთი მარანი. მისი არქეოლოგიური შესწავლა ვეღარ მოხერხდა.

მასალის შენახვის ადგილი

მოპოვებული მასალა დაცული იქნება არქეოლოგიის ცენტრში შემდეგ მისამართზე:

უზნაძის ქ. №14,

0102 თბილისი

ტელ. 95 29 20

2.0 გარემო პირობები

ახალციხის რაიონი ისტორიული სამცხის პროვინციის ნაწილია. იგი მდებარეობს ახალციხის ქვაბულში და მოიცავს მტკვრის ხეობას მუსხიდან აწურამდე და ფოცხოვის ხეობას ქვაბლიანის შესართავს ქვემოთ. ჩრდილოეთიდან რაიონს საზღვრავს მესხეთის ქედი, სამხრეთიდან – ერუშეთის ქედი.

რაიონის ტერიტორიის დიდი ნაწილი აგებულია ოლიგოცენური ასაკის ქვიშაქვებითა და თიხებით, მცირე ნაწილი (ერუშეთის ქედის კალთები) – ეოცენური ტუფ-ბრექჩიებით, ტუფებითა და ანდეზიტებით. რელიეფი რთულია და მოიცავს მოვაკებულ ტერასებს, მერიდიანულ ხეობებს, მცირე ქვაბულებსა და ვულკანურ მთებს.

ახალციხის რაიონის უმეტეს ნაწილში მთიანეთის სტეპების ჰავაა. ზამთარი ცივია და მცირეთოვლიანი, ზაფხული – ხანგრძლივი და თბილი. ახალციხის ქვაბულის ძირზე იანვრის საშუალო ტემპერატურაა $-3,8^{\circ}\text{C}$, აგვისტოსი $+20,5^{\circ}\text{C}$. ნალექები აქ წელიწადში 520 მმ-ს არ აღემატება, მთიან ზონაში კი 1200 მმ-მდე აღწევს.

მცენარეული საფარიდან რაიონში გაბატონებულია კლდის ქსეროფიტული ბუჩქები და ნახევარბუჩქები (ღვია, გლერძა, ზღარბა), აგრეთვე ქსეროფიტული მრავალწლიანი ბალახეულობა. მთის ტყის ქვედა ზონაში გავრცელებულია მუხა და რცხილა, ზედა ზონაში – ნაძვი და სოჭი.

ცხოველთა სამყაროდან გვხვდება ირემი, შველი, არჩვი, გარეული ღორი, წავი, ჭრელტყავა, ფოცხვერი, გარეული კატა, დათვი, მგელი, მელა, მანვი, კვერნა, დედოფალა, კურდღელი, ციყვი, წყლის მემინდვრია, ტყის თაგვი. ბევრია გარეული მტრედი, ქედანი, გვრიტი, ყვავი, კაჭკაჭი, შოშია, მწყერი. მდინარეში არის კალმახი, წვერა, მურწა, ხრამული.

2.1 ძეგლის მდებარეობა და აღწერა

მილსადენის ზოლში აღმოჩენილი ძეგლები მდებარეობს სოფლებს აწურსა და ტყემლანას შორის, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე არსებულ დავაკებაზე, ზღვის დონიდან 950-965 მეტრზე. ერთი ძეგლი გამოვლინდა ადგილ ნავენახევზე, მეორე – მისგან 300-იოდ მეტრით აღმოსავლეთით, ე. წ. პალმეტურზე. ეს ტერიტორია აწურიდან ტყემლანაში მიმავალი გზის ორსავე მხარეს მდებარეობს

2.2 წარსული გარემო

საქართველოში აღმოჩენილი ოლდუვასა და ადრეაშელური პერიოდის პალეონტოლოგიური და პალეობოტანიკური მასალის კვლევამ დიდი მნიშვნელობა იქონია საქართველოში მეოთხეული პერიოდის (პლეისტოცენიდან ადრე პოლოცენის ჩათვლით) ბუნებრივი გარემოს ფორმირების პროცესის შესასწავლად.

მინდელის ეპოქის დასაწყისამდე (0,6-0,7 მილიონი წლის წინ) დღევანდელი საქრთველოს ტერიტორიაზე იყო ზომიერად თბილი ჰავა და სავანის ტიპის ლანდშაფტი. ჰავის მკვეთრ გაუარესებას ადგილი ჰქონდა მინდელის ეპოქის დასაწყისში. ეს მოვლენა საქრთველოს ტერიტორიასაც შეეხო, თუმცა მისი სამხრეთული მდებარეობის გამო აციებას არ ჰქონია დიდი მასშტაბი. ამის შემდეგ იწყება მინდელ-რისის თბილი ეპოქა, რომელსაც დედაშიწის ისტორიაში ყველაზე დიდი – რისული გამყინვარება ცვლის. რისის გამყინვარებას ენაცვლება რისი-ვიურმის გამყინვარებათა შორისეული

თბილი ეპოქა, რომლის ასაკი 120-70 ათასი წლის წინანდელი დროითაა განსაზღვრული.

დაახლოებით 70 ათასი წლის წინ დაიწყო ძლიერი აციება, რამაც განაპირობა ვიურმული გამყინვარება. ამ გამყინვარებამ დიდი გავლენა მოახდინა ქვის ხანის ადამიანის განსახლებაზე. მკაცრი აცივების გამო ადამიანი ტოვებს საშუალო და მაღალმთიან მხარეებს და მათ მხოლოდ ზაფხულის თბილ სეზონში იყენებს, ძირითადად სანადიროდ. ამ ეპოქაში ადამიანს მუდმივ საცხოვრებლად გამოყენებული ჰქონდა მხოლოდ საქართველოს ბარი.

ძეგლი ქვის ხანიდან ახალი ქვის ხანისაკენ გადასვლა მოხდა ზედაპლესტოცენიდან პოლოცენისაკენ გარდამავალ ეტაპზე (დაახლოებით 12 000-10 000 წლის წინ). ამ დროს მკვეთრად შეიცვალა ჰავა, რაც საგრძნობ დათბობაში გამოიხატა.

მეზოლითში ადამიანი კვლავ დაუბრუნდა მაღალმთიან რაიონებს, რომელიც წინა, ვიურმული გამყინვარების დროს მიატოვა. აქედან მოყოლებული ადამიანი საქართველოს ტერიტორიის ყველა ლანდშაფტურ სარტყელს ითვისებს საცხოვრებლად. ეს იმაზე მიუთითებს, რომ გამყინვარების მომდევნო ხანაში (პოლოცენში) ბუნებრივ გარემოს არსებითი ცვლილებები არ განუცდია (საქართველოს არქეოლოგია 1991).

პლესტოცენური ფაუნისა და ფლორის მონაცემებზე დაყრდნობით, გარკვეულ დონემდე შესაძლებელია საქართველოს ტერიტორიაზე პალეოეკოლოგიური სურათის რეკონსტრუქცია. ადრე პლესტოცენიდან ადრე პოლოცენამდე კლიმატური პირობები მკვეთრად არ შეცვლილა. ჰავა იყო ზომიერად მშრალი და თბილი (გაბუნია, ვეკუა 1997). აღმოსავლეთ საქართველოს რელიეფი ღრმა ხეობებით დანაწევრებული საშუალო სიმაღლის მთაგორიანი მასივებით ხასიათდებოდა. მცენარეთა ნამარხი ნაშთების შესწავლით დადგინდა, რომ იმ დროის აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ტყეებში ხარობდა თბილი და ზომიერად ტენიანი ჰავის მოყვარული ჯიშები – მუხა, ტირიფი, ძელქვა, ვერხვი, არყი, თხილი და სხვ. (გაბუნია, ვეკუა, 1978). ნამარხი ძუძუმწოვრების ძელოვანი მასალის კვლევის შედეგად დადასტურდა ცხოველთა შემდეგი სახეობები: ენოტისებრი ძაღლი, აფთარი, ფოცხვერი, ხმაღკბილა ვეფხვი, მაჩვიდარბა, მასტადონტი, გიგანტური დანამა, მარტორქა, სპილო, გაშლილრქიანი ირემი, შველი, რქაგრეხილი ანტილოპა, ურქო ძროხა, ფრინველებიდან – სირაქლემა და სხვა. (გაბუნია, ვეკუა 1997).

2.3 მიწის გამოყენების ისტორია

მეურნეობა ამ ადგილებში ისტორიულად აქცენტირებული იყო მარცვლეულის მოყვანაზე, აგრეთვე მევენახეობასა და მებაღეობაზე. ოდითგანვე იყო განვითარებული მეცხოველეობა. ყველა ამ დარგის განვითარების ფაქტი დადასტურებულია არქეოლოგიურად, ამასთან, სხვადასხვა ქრონოლოგიურ მონაკვეთში. განსაკუთრებით არის აღსანიშნავი აწყურის თვითნაგები ხელოვნური ტერასები, რომლებზედაც გაშენებულია ხეხილის ბაღები და ვენახები.

სამცხის ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენს 254 496 ჰექტარს, რაც მთელი საქართველოს 3,4%-ია. აღნიშნული ფართობიდან 1975 წელს სახნავს ეკავა 18401 ჰა., მრავალწლიან ნარგავებს – 3579 ჰა., ტყეს და ბუჩქნარს – 92271 ჰა., სათიბსა და საძოვარს – 74914 ჰა., საკარმიდამო ნაკვეთებს - 4045 ჰა. დანარჩენ ფართობს სოფლის მეურნეობაში გამოუყენებელი მიწები შეადგენდა.

3.0 კულტურული ფონი

3.1 პრეისტორიული და ისტორიული კონტექსტი

ქვედა პალეოლითი (2 000 000 – 100 000 წლის წინ)

ქვედა პალეოლითი გეოლოგიურად პლეისტოცენის ადრეულ საფეხურს შეესაბამება. ამ დროს გაჩნდა აგებულების მხრივ თანამედროვე ადამიანი. გვარის Homo (Homo erectus) პირველი წარმომადგენლები ცხოვრობდნენ მცირე ჯგუფებად და იკვებებოდნენ საცხოვრებლის გარშემო არსებული ბუნებრივი რესურსებით. ამ პერიოდის ობიექტი საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილია დმანისში. აქ ქვის ინვენტარსა და პლიოცენის ფაუნის ნაშთებთან ერთად მიკვლეულია Homo erectus-ის ნაშთები, რომლებიც უძველესია აფრიკის კონტინენტის გარეთ აღმოჩენილთა შორის. ისინი, იორდანეს ველის უბდაისას ობიექტთან ერთად, გვიჩვენებს ძველი პომინიდების მიგრაციის გზას აფრიკის გარეთ.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებობს 16 უბანი, სადაც აღნიშნული პერიოდით ან უფრო გვიანდელი დროით დათარიღებული აშელური ტიპის ქვის იარაღების კომპლექსია აღმოჩენილი. აქედან ორი უბანი მდებარეობს ქვეყნის სამხრეთ ნაწილში მილსადენის დერეფნის მიმდებარე ტერიტორიაზე.

შუა პალეოლითი (100 000 – 35 000 წლის წინ)

ეს პერიოდი ემთხვევა უძველესი Homo sapiens-ის, ნეანდერტალელი ადამიანის წარმოშობას. ევროპაში და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ადამიანის ისტორიის ამ პერიოდის გვიანი ეტაპი გამოირჩევა ე. წ. მუსტიეს ქვის იარაღების კულტურით, რომელიც აშელურთან შედარებით, უფრო უკეთ დამუშავებული და უფრო მრავალფეროვანი ფორმის იარაღებითაა წარმოდგენილი. ისევე, როგორც ჩრდილოეთ ევროპაში, საქართველოშიც ამ პერიოდის ძირითადი დრო გლაციურ და პერი-გლაციურ გარემოში გაატარა.

საქართველოში მუსტიეს ქვის იარაღების 75-ზე მეტი ადგილსამყოფელია გახსნილი. ამათგან შვიდი ნაპოვნია სამხრეთ საქართველოში, პროექტის სივრცის ძირითად რაიონში.

ზედა პალეოლითი (35 000 – 14 000 წლის წინ)

ზედა პალეოლითი შეესაბამება გვიან პლეისტოცენურ პერიოდს. ამ პერიოდში ქვის იარაღების დამზადების ტექნოლოგია მკვეთრად უმჯობესდება. ზოგიერთი არქეოლოგის ვარაუდით, სხვადასხვა ადგილებში აღმოჩენილი ქვის იარაღების განსხვავებულობა მიუთითებს ამ პერიოდში კულტურულად განსხვავებული ჯგუფების არსებობაზე.

ვარაუდობენ, რომ ამ პერიოდში ჩამოუყალიბდა ადამიანის მეტყველების უნარი. ზედა პალეოლითის ადამიანები საქართველოში დაკავებული უნდა ყოფილიყვნენ ჯგუფური ნადირობით. ისინი ხოცავდნენ ირემს, ბიზონს, გარეულ ცხენს, გარეულ თხას, დათვს, გამოქვაბულის ღომს, რომელთა ნაშთები დიდი რაოდენობით არის ნანახი ზედა პალეოლითის ძეგლებში. ადამიანი სახლობდა ბუნებრივ გამოქვაბულებში, კლდეების ღრმულებში, მოსანადირებელი ცხოველების ბილიკების მახლობლად.

საქართველოში აღმოჩენილი სულ ცოტა 33 მნიშვნელოვანი ზედა პალეოლითური ობიექტიდან სამი სამხრეთ საქართველოშია. არცერთი მათგანი არ არის მილსადენის დერეფანში ან მის მახლობლად.

მეზოლითი (ძვ. წ. 12000 – 8000 წლები)

მეზოლითის პერიოდის დასაწყისი განისაზღვრება პლეისტოცენის ეპოქის დასასრულითა და ჰოლოცენის დასაწყისით. განვლილმა ვიურმის გლაციაციამ შექმნა უფრო ზომიერი კლიმატი, რის გამოც გაჩნდა შედარებით დიდი სივრცეების ათვისების საშუალება. ნადირობა ცხოვრების ძირითად წყაროდ რჩებოდა, მაგრამ ადამიანმა დაიწყო უფრო მრავალფეროვანი მსხვერპლის ძიება. ნადირობდნენ როგორც ჯოგურად, ისე განცალკევებით მცხოვრებ სხვადასხვა ზომის ცხოველებზე – ირმებზე, ცხენებზე, ცხვრებზე. ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა სეზონური მცენარეული პროდუქტების სისტემატური მოპოვება. ადამიანი გადავიდა გამოქვაბულის სივრციდან ღია სივრცეების დაკავებაზე. ეს ერთნაირად ხდებოდა საქართველოში, მთელს ევროპაში და სამხრეთ-დასავლეთ აზიაში. ამ პერიოდის განსაკუთრებული თავისებურებაა იარაღის მასალის და იარაღის ნაირსახეობების მკვეთრი გამრავალფეროვნება. მიკროლითები (კაჟის და ობსიდიანის საჭრელები) და გაპრიალებული სამტრეველი ქვები, რომლებიც მცენარეების დასამუშავებლად გამოიყენებოდა, ამ პერიოდში ჩვეულებრივი მოვლენაა. ქვის საწაფები და ჰარპუნები მიუთითებს თევზჭერის პოპულარობაზე. ზედა პალეოლითის საზოგადოებიდან მეზოლითის საზოგადოებაზე გადასვლა მარტივად განიხილება როგორც ჰოლოცენის ზომიერი გარემოთი განპირობებულ მრავალფეროვან და უფრო ხელმისაწვდომ რესურსებთან შეგუების პროცესი. საქართველოში მეზოლითის 12 მნიშვნელოვანი ობიექტია ცნობილი. აქედან არცერთი არ არის მილსადენის დერეფნის სიახლოვეს.

ნეოლითი/ენეოლითი (ძვ. წ. 8000 – 4000 წლები)

ნეოლითური პერიოდის დასაწყისი ცნობილია, როგორც რევოლუციური, რამდენადაც ამ დროს მოხდა მკვეთრი ძვრები ადამიანის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ადამიანმა დაიწყო ნადირობიდან და შემგროვებლობიდან ცხოველების და მცენარეების მოშენებაზე გადასვლა და ხელი მიჰყო მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას. ამავდროულად დაიწყო მეთუნეობა დაგროვებული მცენარეული საკვების შესანახად და მოსამზადებლად. ფართოდ დაინერგა ისეთი ქვის იარაღები, როგორიცაა ხელცული, წაღდი, ნამგლის ჩასართები, სასრეს-საფქვავეები და თოხი, რომლებიც მიწის გასასუფთავებლად და გასაფხვიერებლად იხმარებოდა.

პალეოლითის და მეზოლითის პერიოდებისგან განსხვავებით, საქართველოს ნეოლითურ არქეოლოგიურ კომპლექსებში ძირითად ნაშთებს მეთუნეობის პროდუქციის (საკვების მოსამზადებელი და შესანახი ჭურჭლის) ნამსხვრევები წარმოადგენს, რაც საკვების დამზადების და შენახვის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს.

პირველი განცალკევებული ნეოლითური სახლები საქართველოს ტერიტორიაზე შედგებოდა ერთმანეთში გამავალი მრგვალი ან ელიფსური ოთახებისაგან. მათ ალიზით აშენებდნენ და, სავარაუდოდ, ხის ძელებით ამაგრებდნენ; ხურავდნენ ხის ტოტებით და შლამით. დასახლების ორგანიზაციის მაგალითია იმირის გორის უბანი ქვემო ქართლში.

ძვ. წ. VI-V ათასწლეულებში, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულია მაღალგანვითარებული მიწათმოქმედების კულტურა. დადასტურებულია სხვადასხვა ჯიშის ხორბლეულის, ქერის, ფეტვის, შვრიის, აგრეთვე პარკოსნების (მუხუდო, ოსპი), ნესვის, მჟაუნას და სხვათა ნაშთები.

აღმოჩენილი ყურძნის წიპწები მიჩნეულია კულტურულ ვაზზე გარდამავალ ფორმად. დადასტურებულია მარტივი საირიგაციო სისტემის გამოყენებაც.

საქართველოში დაახლოებით 60 ნეოლითური ძეგლია ცნობილი. უმრავლესობა დასავლეთ საქართველოშია, თუმცა მათი კონცენტრაცია აღინიშნება ქვეყნის სამხრეთ მხარეებშიც. გვიანი ნეოლითის (ენეოლითის) ერთი ძეგლი მდებარეობს პროექტის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალციხის რაიონში.

აწყურის ირგვლივ 10 კმ-ის რადიუსში ადრეული, კერძოდ პალეოლითისა და ნეოლითის ძეგლები ჯერჯერობით არ ჩანს. არსებული მონაცემებით ეს ტერიტორია ათვისებულია ენეოლითის ხანაში (ზოგადად ძვ. წ. 4000-3500 წწ.), რაზეც მიუთითებს შემთხვევით აღმოჩენილი კაჟის ლამელები და ობსიდიანის ანატკეცები მილსადენის ტრასაზე ტაძრისთან, აგრეთვე თისელის ნასოფლარზე აღმოჩენილი კაჟის ნამგლის ჩასართი. კაჟი ამ რეგიონში არ გვხვდება. ქვის ეს ჯიში აქ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიიდან ჩანს შემოტანილი, ნედლეულისა თუ მზა ნაწარმის სახით, რაც მოწმობს სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას შორის გარკვეული კავშირების არსებობას. კაჟის ნამგლის ჩასართის აღმოჩენა ადასტურებს, რომ ენეოლითიდან მოყოლებული ამ მიდამოებში მცხოვრები მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთ დარგს მიწათმოქმედება, კერძოდ მარცვლეულის მოყვანა შეადგენდა.

ბრინჯაოს ხანა (ძვ. წ. 4000 – 800 წლები)

ბრინჯაოს ხანის კულტურამ ევროპაში, ხმელთაშუაზღვისპირეთში და აზიის სამხრეთ-დასავლეთში შექმნა საზოგადოების ახალი ტიპი, რომელიც დამყარებული იყო მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებაზე, მეთუნეობისა და ბუნებრივი ლითონის დამუშავების ტექნიკურ განვითარებაზე. ეს იყო პირველი სტრატეგიცირებული საზოგადოება, რომელიც იმართებოდა სამხედრო და სასულიერო ელიტის მიერ. მათ მაღალ სოციალურ სტატუსს ასახავს ძვირფასი ქვების, ძვირფასი ლითონებისა და ბრინჯაოსაგან ოსტატურად ნაკეთი სამკაულები.

ბრინჯაოს ხანა იყოფა ადრე, შუა და გვიანბრინჯაოს პერიოდებად. საქართველოს ტერიტორიაზე ამ ეპოქის უადრესი კულტურაა მტკვარ-არაქსის კულტურა (ძვ. წ. 3500-2500 წლები). ის ხასიათდება ალიზის, ქვის ან თიხალესილი სარ-ლასტის ნაგებობებით, მაღალგანვითარებული სამეთუნეო, მეტალურგიული საქმიანობით და ამავე დროს განვითარებული მიწათმოქმედებით და მესაქონლეობით. ამ კულტურის ნაშთები კონცენტრირებულია სამხრეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში. ის ასევე ვრცელდებოდა თანამედროვე სომხეთის, აზერბაიჯანისა და აღმოსავლეთ თურქეთის ტერიტორიაზე და უფრო სამხრეთითაც, სირია-პალესტინამდე.

აწყურის მახლობლად, მილსადენის 202-ე კმ-ზე, 2005 წელს გამოვლინდა ადრეული ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი, რომელიც მტკვარ-არაქსის კულტურას განეკუთვნება. ძეგლზე აღმოჩენილი არტეფაქტების მიხედვით, მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა ყოფილა..

მტკვარ-არაქსის კულტურას ცვლის ადრეყორღანული კულტურა, რომელშიც ორი ეტაპი გამოიყოფა: მარტყოფული და ბედენური. მეცნიერების გარკვეული ჯგუფი ადრეყორღანულ კულტურას ადრებრინჯაოს ხნას მიაკუთვნებს, ნაწილი კი – შუაბრინჯაოს.

შუაბრინჯაოს ხანაში გავრცელებულია ე. წ. თრიალეთის კულტურა (ძვ. წ. 2500-1500 წლები). მისი გავლენა ვრცელდებოდა დღევანდელი საქართველოს საზღვრებს გარეთაც, სამხრეთით და აღმოსავლეთით. კულტურის სახელწოდება მოდის თრიალეთის პლატოდან (სამხრეთ-ცენტრალური საქართველოს ტერიტორია, რომელსაც კვეთს მილსადენის დერეფანი), სადაც 1930-იან წლებში პირველად იქნა შესწავლილი თრიალეთური ყორღანები. თრიალეთის კულტურა ხასიათდება დიდი ზომის ყორღანული სამარხებით, ბრწყინვალე სამეთუნეო ნაწარმით, ბრინჯაოს მეტალურგიითა და საიუველირო ხელოვნებით. სადღეისოდ თრიალეთის კულტურა შესწავლილია მხოლოდ სამარხეული კომპლექსების მეშვეობით. ამ კულტურის მატარებელი საზოგადოების ნამოსახლარები ჯერჯერობით უცნობია.

აწყურის მიდამოებში გამოვლენილია შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლები, რომელთაც ანალოგიები მოეპოვება თრიალეთურ მასალაში. გარკვეული პარალელები ქართლსა (ხაშურის რაიონი) და კახეთშიც (დედოფლისწყაროს რაიონი) აღინიშნება. თვით აწყურის ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი ნაშთები შუაბრინჯაოს ხანის მიწურულს განეკუთვნება. ეს არის ქვაყრილიანი სამარხი, რომელიც 2001 წელს გაითხარა წარმართული ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილში.

გვიანი ბრინჯაოს ხანაში სწრაფად მიმდინარეობს სამხრეთქართველური ტომების კონსოლიდაციის პროცესი, რომლის გამოხატულებაც იყო მონათესავე ტომების არეალში ვრცელი ტერიტორიის მომცველი ერთგვაროვანი კულტურის ჩამოყალიბება. დასავლეთ საქართველოში გვიანი ბრინჯაოს ხანაში ვითარდება კოლხური კულტურა. ძვ. წ. XIII-XII საუკუნეებში მათ საფუძველზე შეიქმნა დიდი წინასახელმწიფოებრივი გაერთიანებები – დიაოხი (ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ მხარე, ახლა თურქეთშია) და კოლხა (დასავლეთ საქართველო).

რკინის ხანა/კლასიკური პერიოდი (ძვ. წ. 800-500 წლები)

ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში ბრინჯაოს დამუშავებიდან რკინის მეტალურგიაზე გადასვლამ მნიშვნელოვანი ძვრები გამოიწვია ეკონომიკის განვითარებაში და საზოგადოების ცხოვრებაში.

აღმოსავლეთ საქართველოში რკინის წარმოების უძველესი კერა იყო რკინის მადნებით მდიდარი ქვემო ქართლი. რკინის ხანის ძეგლები გამოვლენილია წალკისა და ბორჯომის რაიონებშიც.

დასავლეთ საქართველოში რკინის წარმოების ცენტრები დადასტურებულია როგორც შავიზღვისპირეთში, ისე შიდა რეგიონებში, საიდანაც ფართოდ ხდებოდა რკინის მადნის ექსპორტირება ბერძნულ პოლისებში.

სამცხის რეგიონის ამ პერიოდის ძეგლებზე კოლხური ინვენტარია გაბატონებული და ეს მხარე კოლხური (დასავლეთ საქართველო) კულტურის გავრცელების არეალში ექცევა.

კლასიკური პერიოდი (ძვ. წ. 500-325 წლები)

აღმოსავლეთ საქართველო ამ პერიოდში აქემენიდური სპარსეთის ძლიერი პოლიტიკური და კულტურული გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ამ გავლენას ადასტურებს ახალგორის განძი და ციხიაგორაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა. ამავე დროს მიმდინარეობდა ცალკეულ ტომთა კონსოლიდაციის პროცესი, რომელშიც წამყვანი როლი მესხურ ტომებს ეკუთვნოდათ.

ამ პერიოდთან ასოცირდება მტკვრის ხეობაში სამცხის პირველი ქალაქები ოძრხე, წუნდა, თმოგვი.

ელინისტური ხანა (ძვ. წ. 325-65 წლები)

ალექსანდრე მაკედონელს საქართველოში არ უღაშქრია, მაგრამ ელინისტურ სამყაროსთან პოლიტიკურმა, სავაჭრო-ეკონომიკურმა და კულტურულმა კონტაქტებმა ქვეყნის განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია.

ელინისტურ ხანაში საქართველოზე გადიოდა ერთ-ერთი სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალი, რომლის მეშვეობითაც ქვეყანაში ვრცელდებოდა ბერძნული საქონელი (კერამიკა, ტორევეტიკა, გლიპტიკა და სხვა). დაინერგა ელინისტური სამონეტო სისტემა: კოლხეთში ჭრიდნენ ლისიმაქეს, ხოლო იბერიაში ალექსანდრეს სტატერების ოქროს მინაბადებს.

ელინისტურ ხანაში აღინიშნება ურბანიზაციის პროცესის გაძლიერება და ქალაქების დაწინაურება. ამ პერიოდს ემთხვევა იბერიის დედაქალაქ მცხეთისა და კოლხეთის მთავარი სატაძრო ქალაქის – ვანის აღმავლობა. ფართოდ გავრცელდა ელინისტური სამშენებლო წესები. ელინისტური გავლენა დაეტყო ხელოსნობის ზოგიერთ დარგსაც – მაგალითად, საფეიქრო წარმოებაში დაინერგა ვერტიკალური საქსოვი დაზგა. გავრცელდა ბერძნულ-ელინისტური რელიგიური კულტები (განსაკუთრებით ფართოდ – დიონისესი). და რწმენა-წარმოდგენები, რაც დაკრძალვის წესებშიც აისახა – მაგალითად, სამარხში მონეტის ჩატანება ქარონისათვის მისაცემად.

ამ პერიოდს ემთხვევა აწყურის დაწინაურება და რეგიონის ურბანულ ცენტრად ქცევა. აწყურის ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოვლენილია ქვის არქიტექტურა, რომელშიც დაგეგმარების მიხედვით ორი ტიპის შენობები გამოიყოფა: წრიული და ოთხკუთხა. ფუნქციის მიხედვით გამოიჯნულია საცხოვრებელი და საკულტო ძეგლები. გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა დაწინაურებული საქალაქო ცხოვრების მანიშნებელია. აქ კონცენტრირებულია სამხრეთ კავკასიის შიდა რაიონებისათვის უნიკალური ბერძნული იმპორტის კოლექცია, რომელშიც თავმოყრილია არქაული, კლასიკური და ელინისტური ხანის კერამიკული ნაწარმი (ძვ. წ. VI-II საუკუნეები). სამარხეული მასალით დასტურდება, რომ უკვე ძვ. წ. IV საუკუნის მიწურულიდან აწყური ის დასახლებაა, სადაც რეგიონის მმართველი ფენა ცხოვრობს, რომელიც სოციალურად და ეკონომიკურად დაწინაურებულია.

აწყურის ნაქალაქარის გათხრებით მოპოვებულ მასალას ანალოგიები ეძებნება ქართლის ელინისტური ხანის ძეგლებზე (ციხია-გორა, სამდლო, უფლისციხე და სხვა).

რომაული ხანა

ძვ. წ. 65 წელს რომაელმა მხედართმთავარმა პომპეუსმა კავკასიაში ილაშქრა და სხვა ქვეყნებთან ერთად დაიმორჩილა იბერია და კოლხეთიც.

რომაული კულტურის და ცხოვრების წესის გავლენით საქართველოს ქალაქებში ჩნდება წყალგაყვანილობით აღჭურვილი აბანოები (არმაზისხევი, ბაგინეთი, ურბნისი, ძაღისა, ბიჭვინთა, შუხუთი. უკანასკნელ სამში გამოვლენილია მოზაიკური იატაკების ნაშთები).

რომაულ ხანაში მნიშვნელოვან პუნქტად რჩებოდა აწყური. ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, I საუკუნეში აწყურში იქადაგა ქრისტიანობა იესო ქრისტეს ერთ-ერთმა მოწაფემ ანდრია პირველწოდებულმა.

საეკლესიო ტრადიციის მიხედვით, წმ. ანდრია მოციქულმა აწყურში დატოვა ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი და თვითონ წარემართა სკვითეთში. ამ ხანიდან აწყური იქცა ღვთისმშობლის ხატის ადგილსამყოფელად. ხატი არაერთხელ გაიტაცეს სამცხიდან, მაგრამ ყოველთვის უკან აბრუნებდნენ, სანამ 1553 წელს იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ ჩხარს არ გადაასვენა. ამის შემდგომ იგი აწყურს აღარ დაბრუნებია.

ადრეული შუა საუკუნეები (IV-X საუკუნეები)

საქართველოში შუა საუკუნეების პერიოდის დასაწყისად მიღებულია ქართლის ქრისტიანობაზე მოქცევის წელი – 326 ან 337. ქრისტიანობის დამკვიდრება აღმოსავლეთ საქართველოში უკავშირდება წმ. ნინოს.

V-VI საუკუნეებში საქართველოში თავისი გავლენის დასამყარებლად იბრძოდნენ ბიზანტიის იმპერია და სასანიდური ირანი.

627 წელს ქართლზე ილაშქრა ბიზანტიის იმპერატორმა ჰერაკლემ. „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, მან აქ რამდენიმე ეკლესია ააშენა და მათ შორის აწყურის კათედრალიც. წმ. გრიგოლ ხანძთელის თაოსნობით ამ მხარეში გაშლილ დიდ სამონასტრო მოძრაობას კულტურის მძლავრი განვითარება მოჰყვა.

X საუკუნის II ნახევარსა და XI საუკუნის დასაწყისში აღინიშნება არქიტექტურისა და ხელოვნების არაჩვეულებრივი აღმავლობა. ამ პერიოდის შესანიშნავი ძეგლია აწყურის კათედრალი – ერთ-ერთი უდიდესი საეკლესიო ნაგებობა საქართველოში. კათედრალმა ნანგრევების სახით მოატანა ჩვენს დრომდე. მის ტერიტორიაზე გაითხარა ორი უფრო ადრინდელი ნაგებობა: მცირე ეკლესია და მონუმენტური კარიბჭე. ეკლესიის შუაში, იატაკში ჩასმული იყო თოკისებური სარტყლებით ორნამენტირებული ქვევრი. ასეთივე ქვევრები გამოვლინდა ეკლესიაზე აღმოსავლეთიდან მიშენებულ მარანში. მათ მიხედვით ეკლესია შეიძლება ადრეული შუა საუკუნეებით დათარიღდეს.

ტაძართან ახლოს, მტკვრის პირას მდებარეობს აწყურის ციხე, რომელიც წერილობით წყაროებში XI საუკუნეში მოიხსენიება, თუმცა ბევრად ადრე უნდა იყოს დაარსებული.

განვითარებული შუა საუკუნეები (XI-XV საუკუნეები)

აწყურის მიდამოებში შემორჩენილი განვითარებული შუასაუკუნეების ძეგლთაგან აღსანიშნავია XIV საუკუნის დასაწყისის გუმბათიანი ტაძარი სოფელი თისელის სამხრეთით, ხეობაში (ბერიძე 1955, კლდიაშვილი 1986). ტაძრის აღმოსავლეთით, კლდის ქიმზე ციხის ნანგრევებია. ტაძრიდან რამდენადმე სამხრეთით, მდინარის მარცხენა მხარეს მონასტერია. მისი ერთნავე ეკლესიის კედლებზე შემორჩენილი კედლის მხატვრობის კვალი. თისელის მახლობლად, მილასადენის 205-ე კმ.ზე 2004-2005 წლებში გაითხარა XIV-XVI საუკუნეების ნასოფლარის ნაწილი.

გვიანი შუა საუკუნეები (XVI-XVIII საუკუნეები)

გვიანი შუა საუკუნეები საქართველოში ღრმა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კრიზისის პერიოდია. სამეფო-სამთავროებად დაშლილი ქვეყანა გარეშე მტრებს ვერ უმკლავდებოდა. XVI-XVIII საუკუნეებში ქართლი და კახეთი ძირითადად ირანს ექვემდებარებოდა. დასავლეთ საქართველო ოსმალეთის გავლენის ქვეშ იყო. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (სამცხე-საათაბაგო) ოსმალეთმა 1570-იან წლებში პირდაპირ მიიერთა. 1628 წელს აქ ახალციხის საფაშო ჩამოყალიბდა. ერეკლე II-ს მიერ ქართლისა და კახეთის

გაერთიანებას და რამდენიმე წარმატებულ ომს 1795 წელს ირანელთა გამანადგურებელი შემოსევა მოჰყვა.

აწყური XVI საუკუნის II ნახევრიდან სამცხე-საათაბაგოსთან ერთად ოსმალეთის ნაწილი გახდა. ის ახალციხის ლივის (პროვინციის) ერთ-ერთი ნაპიეს (უფრო წერილი ადმინისტრაციული ერთეულის) ცენტრად იქცა. ოსმალთა ბატონობის პერიოდში ეს იყო პატარა ქალაქი თავისი ციხით, რომელშიც იანიჩართა გარნიზონი იდგა. ქალაქში ქართველებთან ერთად სომხები და ებრაელებიც ცხოვრობდნენ. მოსახლეობის ზედაფენა უკვე XVII საუკუნისთვის გამუსლიმებული იყო. ციხესთან მტკვარზე გადებული ყოფილა ხიდი (ქართლის ცხოვრება IV, 1973).

ოსმალთა ბატონობის პერიოდში სამცხე კვლავ მჭიდროდ ჩანს დასახლებული. ამას მოწმობს მილსადენის 201-ე კმ-ზე ტაძრისთან გამოვლენილი XVII-XVIII საუკუნეების ნასახლარის ნაწილი (რამიშვილი, მინდორაშვილი 2005).

ახალი დრო (XIX-XX საუკუნეები)

ირანელთა 1795 წლის შემოსევამ ქვეყანა კატასტროფის პირას მიიყვანა. ამით ისარგებლა რუსეთის იმპერიამ და 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფო დაიპყრო. 1810 წელს იგივე ბედი ეწია იმერეთის სამეფოს და შემდეგ გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროებსაც. 1828 წელს ოსმალეთთან მოგებული ომის შემდეგ რუსეთმა მიიერთა სამცხე-ჯავახეთი, ხოლო 1878 წელს – აჭარა და შავშეთ-კლარჯეთი. რუსეთის გზით საქართველოში შემოვიდა ევროპული კულტურა და ცხოვრების წესი.

1918 წელს, რუსეთის რევოლუციების შემდეგ საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა. სამცხეში მუსლიმმა სეპარატისტებმა თურქეთის წაქეზებით სცადეს ცალკე სახელმწიფო შეექმნათ, მაგრამ საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ წარმატებით აღკვეთა ეს მცდელობა. 1921 წელს ბოლშევიკურმა რუსეთმა კვლავ დაიპყრო საქართველო და საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად აქცია.

1945 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ ნაცისტური გერმანიისადმი სიმპათიების ბრალდებით სამცხიდან გაასახლა მთელი მუსლიმური მოსახლეობა (ე. წ. თურქი მესხები). მათი უდიდესი ნაწილი ახლაც საქართველოს გარეთ ცხოვრობს.

1991 წელს კვლავ აღდგა საქართველოს დამოუკიდებლობა.

3.2. წარსულში ჩატარებული კვლევის მიმოხილვა

1988 წელს ჩამოყალიბდა ექსპედიცია (ხელმძღვანელი ვ. ლიჩელი), რომელმაც აწყურსა და მის მიდამოებში დაიწყო არქეოლოგიური კვლევა-ძიება. სამუშაოები მიმდინარეობდა ორ ძირითად მონაკვეთზე: წარმართულ ნაქალაქარზე (მტკვრის მარცხენა ნაპირი) და კათედრალური ტაძრის ტერიტორიაზე (მტკვრის მარჯვენა ნაპირი). დღესდღეობით გამოვლენილია:

ძეგლის ტიპი	მდებარეობა	პერიოდი	ჩატარებული კვლევის თარიღი
ქვაურილიანი სამარხი	ნაქალაქარის ცენტრალური ნაწილი	შუაბრინჯაოს ხანის ბოლო	2001
საცხოვრებელი და საკულტო ნაგებობები	ნაქალაქარის ცენტრალური ნაწილი	კლასიკური და ელინისტური ხანა	2004-2005
სამარხები	ნაქალაქარის ცენტრალური ნაწილი	კლასიკური და ელინისტური ხანა	2004-2005
მცირე ეკლესია და ძველი ტაძრის კარიბჭე	კათედრალური ტაძრის ტერიტორია	ადრეული შუა საუკუნეები	2002-2003

4.0. მეთოდოლოგია

4.1 საველე მეთოდები

საველე სამუშაოების დროს გაკეთდა 21 სხვადასხვა ზომისა და სიღრმის თხრილი. დაკვადრატებულ თხრილებში ფენების აღება მოხდა სტანდარტული წესით: სტერილური ფენები ნიჩბით მოიხსნა და შემდეგ მოხდა კულტურული ფენების პრეპარაცია, თანმიმდევრობით, ფენების სიმძლავრის შესაბამისად. ნაგებობების გამოჩენის შემდეგ იწმინდებოდა მათი პერიმეტრი და შემდგომ, უკვე დადგენილი სტრატეგიაფიის მიხედვით, ხდებოდა ინტერიერის გაწმენდა. მასალის ფიქსაცია ხდებოდა ყველა ფენისა და კვადრატის შესაბამისად. გათხრების მიმდინარეობის ყველა ეტაპზე ტარდებოდა ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია. ხდებოდა არა მხოლოდ გეგმების, არამედ ფასადებისა და კვანძების ფიქსაცია. ყველა ნახაზი გაკეთებულია კროკების სახით. გამოვლენილი საწნახელებიდან და თაღარებიდან აღებულია სინჯები. არქეოლოგიური მასალა ველზე ირჩეოდა და ლაგდებოდა კვადრატებისა და ნაგებობების მიხედვით. ყველა შეფუთვას უკეთდებოდა ცალკე ეტიკეტი. მასალა მთლიანად ჩამოტანილი თბილისში სტატისტიკური ანალიზისათვის. საცდელი თხრილების გაჭრის დროს გათვალისწინებული იყო რელიეფი და კერამიკული ფრაგმენტების, ასევე ქვების კონცენტრაცია. შესაბამისად, თხრილები ერთმანეთს სხვადასხვა მანძილით იყო დაშორებული. დღიურებში ყველა არტეფაქტი დაფიქსირებულია ნულოვანი წერტილიდან.

4.2 ლაბორატორიული მეთოდები

ლაბორატორიული სამუშაოების დროს მასალა მთლიანად გაიშალა, გაირეცხა, გამოეცვალა საველე ეტიკეტები, რომლებიც რიგ შემთხვევაში შესაძლოა გამოუსადეგარი იყო.

მასალა მთლიანად გატარდა ღვთარში და ამის შემდეგ მომზადდა ფოტო ფიქსაციისათვის. იგი გადაღებული იქნა ორ ჯგუფად:

1. ტიპოლოგიური ერთგვარობის მიხედვით, ქრონოლოგიური ქვეჯგუფების გამოყოფით;
2. აღმოჩენის ადგილის ანუ კომპლექსების მიხედვით.

I ეტაპის ანალიზისათვის სახელმძღვანელო არ ყოფილა გამოყენებული. ნივთები (კერამიკა) გაიწმინდა წყლითა და რბილი ჯაგრისით. ნივთები გაშრა ჰაერზე. ეტიკეტზე მითითებულია: აღმოჩენის თარიღი და ადგილი, ძეგლის ნომერი, KP, თხრილი, კვადრატი, ფენა.

ეტიკეტის ნიმუში:

პერცხლის მონეტა

25. XI. 2005

აწყური, პალმეტურის ბაღები

KP 211+700

თხრილი №21, E₁₀

თხრილის ჩრდილოეთ კედელთან, პირში.

ლაბორატორიული სამუშაოები აუცილებელია იმისათვის, რომ განისაზღვროს აღმოჩენილი მარნების ეკონომიკური მნიშვნელობა მეღვინეობის ისტორიის კონტექსტში.

5.0 შედეგები

5.1 ძირითადი მონაცემების მიმოხილვა

2005 წელს BTC ნავთობსადენის 211-ე და 212-ე კილომეტრებზე ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა მოიცვა 514 მ²-მდე ფართობი. გათხრილი მიწის საერთო მოცულობამ შეადგინა 523 მ³. გაკეთდა 21 სხვადასხვა ზომის თხრილი. საერთო სურათი ასახულია ქვემოთმოტანილ ცხრილში:

თხრილის №	სიგრძე (მ)	სიგანე (მ)	სიღრმე (მ)	ფართობი (მ ²)	მოცულობა (მ ³)
თხრილი №01	8.5	1.3	1.2	11.05	13.26
თხრილი №02	4.5	1.45	0.6	6.525	3.915
თხრილი №03	4.8	1.2	0.4	5.76	2.304
თხრილი №04	6	1.3	0.7	7.8	5.46
თხრილი №05	7	1.2	1.45	8.4	12.18
თხრილი №06	3.25	1.5	1.5	4.87	7.3125
თხრილი №07	17	3	1.2	51	61.2
თხრილი №08	3	3	1.2	9	10.8
თხრილი №09	15.3	9.5	0.4	145.35	58.14
თხრილი №10	5.75	1.25	1.4	7.18	10.06
თხრილი №11	5	1.9	1	9.5	9.5
თხრილი №12	7	5	1.5	35	52.5
თხრილი №13	7	1.25	0.95	8.75	8.3125
თხრილი №14	3.7	1.1	0.7	4.07	2.849
თხრილი №15	5.65	1.25	0.95	7.06	6.70
თხრილი №16	9.7	3.7	0.4	35.89	14.35
თხრილი №17	3.6	1.5	0.75	5.4	4.05
თხრილი №18	4	1.3	0.75	5.2	3.09
თხრილი №19	1.5	1	0.6	1.5	0.9
თხრილი №20	8	6	1.5	48	72
თხრილი №21	16	6	1.7	96	163.2
სულ				513.32	522.91

ყველა თხრილი მდებარეობს ენერგოდერეფნის ფარგლებში KP 211+700 და KP 212+500 შორის.

გაითხარა 4 მარნის ნაშთები (№9, 12, 20, 21 თხრილები). ამათგან №12 თხრილში აშკარად გამოიკვეთა ორი სააღმშენებლო დონე: 1. როდესაც აშენდა ეს მარანი (XV-XVI სს) ხოლო 2. როდესაც მოხდა მისი მნიშვნელოვანი გადაკეთება (XVII-XVIII სს). №20 და №21 თხრილებში გამოვლენილი მარნების ქვედა ფენებში დადასტურდა შედარებით არქაული (ანტიკური?) ნაგებობების ნაშთები, დაზიანებული გვიანდელი მარნების მშენებელთა მიერ.

მარნებში, გარდა ქვითკირის საწნახლებისა, დადასტურდა ჭაჭის გამოსაწერი ნაგებობა ("საქაჯავი") და ქვითკირისავე თაღარები, რომელშიც ხდებოდა ყურძნის წვენი მოგროვება. საყურადღებოა, რომ მარნებში არ დადასტურდა

ქვევრები ღვინის დასადუღებლად და შესანახად, რაც გარკვეული დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა (იხ. ინტერპრეტაციის მონაკვეთი).

№9 თხრილში გამოვლენილი მარნის ერთ კუთხეში დადსასტურდა მცირე ზომის სარიტუალო თორნე და კერა, რაც ჩვენი აზრით წინაქრისტიანული (წარმართული) რწმენა-წარმოდგენების გადმონაშთს უნდა წარმოადგენდეს (იხ. ინტერპრეტაცია).

კულტურულ ფენებში აღმოჩენილია მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მასალა. სულ გამოვლენილი იქნა 449 არტეფაქტი. დანიშნულებისა და და მასალის მიხედვით ისინი შემდეგნაირად შეიძლება დაჯგუფდეს:

	კერამიკა	ლითონი	ქვა	მინა	ძვალი	სულ
რიტუალური	3		1		1	5
არქიტექტურული	30	7				37
პირადი		6		4		
სამეურნეო		19				
სამზარეულო/სუფრის	349	1	4			
დაუდგენელი	2	19	3			
სულ	384	52	8	4	1	449

როგორც ცხრილიდან ჩანს, მოპოვებული მასალის ძირითად ნაწილს კერამიკა შეადგენს. მასში გამოიყოფა განვითარებული შუასაუკუნეების ნაწარმი. ესენია მოჭიქული და მოუჭიქავი ჯამები, ფაქიზად დამუშავებული და მოხატული სასუფრე ხელალები, ღოჭები, სამზარეულო კერამიკა, სადღებლის, ქოთნებისა და ქილების ფრაგმენტები და სხვ. საყურადღებო და მნიშვნელოვანია ცალკეულ შემთხვევებში მონეტების აღმოჩენა, რაც მყარ საფუძველს გვიქმნის შესაბამისი კულტურული ფენების ზუსტი დათარიღებისათვის.

5. 2 ძეგლები

თხრილი №1

მდებარეობს KP 212-ე ნიშნულზე, ზომები 10X2 მ. სიგრძივი ღერძით მიმართულია აღმ-დან დას-კენ. ჩავედით 1,5 მ სიღრმეზე. უძრავი კულტურული ფენა ან რაიმე ნაგებობის ნაშთი არ დადასტურდა. ნაძრავ ფენებში, სხვადასხვა სიღრმეზე აღმოჩნდა რკინის ღურსმანი (№1), მოჭიქული ჯამების ძირ-ქუსლი (№2) და კალთის ფრაგმენტი (№4), მოხალისფრო თხელკედლიანი სასმისის ნატეხი (№3) და ქვევრის გვერდის ნაწილი (№5). მთელი ეს მასალა განვითარებული შუასაუკუნეებით თარიღდება და აქ მოხვედრილი უნდა იყოს მიწის სამუშაოების შედეგად სხვადასხვა დროს.

თხრილი №2

გაგჭერით KP 212-ე ნიშნულზე №1 თხრილიდან აღმ-ით 60 მ-ის დაშორებით. ზომები 10X2 მ. მიწა აქაც ნაძრავია, ჩავედით 0,6 მ. სიღრმეზე. უძრავი კულტურული ფენა, ან რაიმე კონსტრუქციის ნაშთი არ დადასტურებულა. ნაძრავი მიწის ფენაში აღმოჩნდა მოხალისფრო ხელადის ფრაგმენტი (№6), ქილის ნატეხი №7 და მინის სამაჯურის ნაწილი (№8). ეს მასალაც განვითარებულ შუასაუკუნეებს უნდა ეკუთვნოდეს.

თხრილი №3

გავჭერით №2 თხრილთან 100 მ. მოშორებით აღმ-ით. ზომები 10X1 მ. აქაც იგივე სურათია, რაც №1 და №2 თხრილებში. ჩავედით 1,8 მ სიღრმეზე. ნაძრავი მიწის ფენაში სხვადასხვა სიღრმეზე აღმოჩნდა: წყალსადენის თიხის მილის ფრაგმენტი (№9), რკინის წიდა (№9), მოჩალისფრო თხელკედლიანი თიხის სასმისის ნატეხი (№10), ქვევრის გვერდის ფრაგმენტი (№11), ქვევრის (№11), ქოთნის (№216) და მინის სამაჯურის ნატეხები, აგრეთვე ფაიანსის ფრაგმენტი (№204).

თხრილი №4

გაიჭრა №1 და №4 თხრილებს შორის, ზომით 8X1-ზე. სიღრმე 0,8 მ. საყურადღებო არაფერი გამოჩენილა. ნაძრავი მიწის ფენები არქეოლოგიური მასალის გარეშეა.

თხრილი №5

მდებარეობს №1 თხრილის აღმ-ით 2 მ-ის დაშორებით. ზომები: 6X1 მ. სიღრმე 0,8 მ. საყურადღებო არაფერი გამოჩენილა.

თხრილი №6

მდებარეობს №5 თხრილის აღმ-ით 1 მ. მოშორებით. ზომები 20X1 მ-ზე. თხრილი გაიჭრა ბუდლოზერ-ექსკავატორის დახმარებით, ამ ტერიტორიის დაზვერვის მიზნით ჩავედით 0,8 მ სიღრმეზე. საყურადღებო არაფერი გამოჩენილა.

თხრილი №7

მდებარეობს KP 211+750 - ნიშნულზე. ეს სადაზვერვო თხრილი ჩავეჭერით ბუდლოზერ-ექსკავატორის დახმარებით. ზომები 4X1 მ. სიღრმე 2,5 მ. თხრილი სიგრძივი ღერძით მიმართულია სამხ-დან ჩრდ-სკენ. ჩრდ. ბოლოში თავი იჩინა აღმ-დან დას-კენ მიმართული ტალახზე ნაგები ქვის კედლების (ყორეების) ნაშთებმა. გავაგრძელეთ თხრილი ამ მიმართულებით 2 მ-ით. ამ კედლების თუ ყორეების ღონეზე აღმოჩნდა რკინის წიდა (№14), ქვევრის (№15, 21), ჯამის (№16, 17), ქოთნის (№18, 20) და მოჩალისფროდ გამომწვარი თიხის ფილის (№19) ფრაგმენტები. ეს მასალა გვიანი შუასაუკუნეებით უნდა დათარიღდეს. გავაფართოვეთ თხრილი სამხ-ის მიმართულებით 2 მ-ით. გამოჩნდა მეორე რიგი ყორე-კედლისა პირველის პარალელურად. მათ შორის ფართობი შეესებულება წვრილი ნატეხი ქვით. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, საგანგებოდ მოკირწყლული გზის ნაშთია.

თხრილი №8

№7 თხრილიდან ჩ/აღმ-ით გავჭერით №8 სადაზვერვო თხრილი ზომით 4X2 მ. ზედა ფენაში, მეორე ბარის პირზე აღმოჩნდა განვითარებული შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი მწვანედ მოტიქული ჯამის კალთის ნატეხი (№24). როგორც ჩანს ფერდობის ზედა ნაწილიდან არის აქ მოხვედრილი. 1,5 მ. სიღრმეზე გამოჩნდა №7 თხრილში გამოვლენილი ნატეხი ქვით მოგებული ნაგზაურის გაგრძელება. არქეოლოგიური მასალა არ ჩანს.

თხრილი №9 (ტაბ. № 3,5)

მეტად საყურადღებო შედეგები მოგვცა №9 თხრილმა, KP 212+350 ნიშნულზე. თავდაპირველად ამ თხრილის ფართობი იყო 10X2 მ., მაგრამ ორი ბარისპირის აღების შემდეგ, როდესაც თავი იჩინა ქვაყრილმა და კერამიკულმა მასალამ, გავაფართოვეთ თხრილი ყველა მიმართულებით, საითაც ვრცელდებოდა კულტურული ნაშთები. დაახლოებით 0,5-0,8 მ. სიღრმეზე F5-G5 კვადრ. ზონაში გამოვლინდა 10 მ. სიგრძისა და 3-3,5 მ. სიგანის ზოლი, მიმართული აღმ-დან დას-სკენ, მოგებული ნატეხი ქვით და კიდევზე შემავრებულ ტალახზე ნაგები ქვის ცალპირი წყობით. აშკარაა,

რომ თავის დროზე აქ გზა გადიოდა. ისედაც აშკარაა, რომ აქაური ნიადაგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ასეთი ხელოვნური კონსტრუქციის გერეშე, წვიმების სეზონზე შეუძლებელი იქნებოდა საჭაპანო ტრანსპორტის გადაადგილება. ამ ნაგზაურზე, ისევე, როგორც ირგვლივ მიმდებარე ფართობზე, შექმნილია დაახ. 0,8-1 მ. სისქის დანალექი მიწის ფენა. ეს ფენა უნდა შექმნილიყო ამ გზის გაუქმების შემდეგ აღმ-ით, სოფ. ტყემლანას მიმდებარე ფერდობების ჩამორეცხვის შედეგად. საყურადღებოა, რომ ამ დანალექი მიწის ქვედა ფენაში (0,5-0,8 მ.) მრავლად ჩნდება განვითარებული შუასაუკუნეებისათვის (XI-XIII სს) დამახასიათებელი მოტიქული ჯამების (№50, 51, 54, 55, 70, 82, 83, 103), კრამიტების (№61, 73, 78, 79, 80, 81) თუ სხვა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ამ თარიღის დამატებით ადასტურებს F_6 კვადრატში იგივე ფენაში აღმოჩენილი XII ს. II ნახევრის სელჯუკური სპილენძის ღირჰები (№409) (Пахомов 1910: გვ. 6-7. კაპანაძე 1969: გვ. 71-74).

E 5-D 5 კვადრატების ზონაში, 1-1,2 მ. სიღრმეზე გამოვლინდა მარნის ნაშთები. მარანი ძლიერაა დაზიანებული. შემორჩენილია ტალახზე ქვით ნაგები კედლების ქვედა ნაწილები და ორი ქვითკირის საწნახელი ქვითკირისავე თაღარებით. როგორც კედლები, ასევე საწნახლები ნაგებია სხვადასხვა ზომის (0,26X0,20X0,20 მ; 0,17X0,18X0,10 მ) დაუმუშავებული ქვებით. შესასვლელი კარი აქვს ს/დ კედელში, საიდანაც ინტერიერში ეშვება სამსაფეხურიანი ქვის კიბე. ქვის საფეხურებზე შემორჩენილი იყო ხის გათლილი ძელების ნაშთები. როგორც ჩანს, თავის დროზე ამ ძელებით საგანგებოდ იყო მოწყობილი საფეხურები.

როგორც ჩანს, მარანი ნაწილობრივ გრუნტში წინასწარ ამოღებულ ქვაბულში იყო ჩადგმული. მარანს მიწური, თიხატკეპნილი იატაკი ჰქონია. მასში გამოვლინდა შემდეგი ძირითადი კონსტრუქციები:

საწნახლები: მარანში ორი საწნახელი ყოფილა. ერთი მიშენებულია ჩ/აღმ. კუთხეში (ზომები 2,7 X დაახლ. 1 მ), ხოლო მეორე ს/აღმ. კედელზე (ზომები: 2,7X1 მ). ორივე საწნახელს შერჩენილი აქვს ქვითკირის თითო თაღარი, რომლებთანაც დაკავშირებული ყოფილან კედელში დატანებული ხვრელით. მეორე საწნახლის თაღარს დას. მხრიდან მიწაში ჩადგმული ჰქონია თიხის რაღაც ჭურჭელი (შესაძლოა მცირე ზომის ქვევრი "ქოცო"), რომელშიც გადანაწილდებოდა ყურძნის ჭარბი წვენი. პირველი საწნახლის აღმ. ბოლოში შემორჩენილია დუღაბის ფენა, რომელიც ვიწრო ღარით დაკავშირებულია თაღართან. აშკარაა, რომ აქ ქვითკირის საქაჯავი ყოფილა მოწყობილი, რომლიდანაც ჭაჭის წვენი ჩაედინებოდა საწნახლის თაღარში.

საკურთხეველი (ტაბ. 5,10): მარანში ჩასასვლელი კიბის მარჯვნივ, მიწურ იატაკში ამოკვეთილ მართკუთხა ორმოში გამართული იყო ქვის თხელი ფილებისაგან შეკრული "ქვაყუთი", რომელიც ერთი შეხედვით სამარხს გავდა (ზომები: 0,7X0,4 მ.). გაწმენდის შემდეგ, რაკი აქ სამარხი არ აღმოჩნდა, გაჩნდა ვარაუდი, რომ ეს უნდა იყოს მიწისქვეშა საკურთხეველი - ქრისტიანობამდელი ხანის წარმართული რელიგიის გადმონაშთი.

რიტუალური ღუმელები: (ტაბ. 10): მარნის ჩ/დ კედლის ს/დ ბოლოსთან მოწყობილი იყო თავისებური "სარიტუალო კუთხე" - კერა და მცირე ზომის თორნე. კერა დაზიანებულია. შემორჩენილია თიხით მოლესილი ფსკერი და თიხით ამოშენებული თაღოვანი "კონქის" ნაშთი, სავსე ნაცრით. იქვე დადასტურდა ამ "კონქის" თაღის წინა ნაწილი, შემეული ნახვლეტებით. კერის გვერდით მცირე ზომის თორნეა იატაკში ღრმად ჩადგმული (ზომები: 0,20-0,25 მ.) თორნე სავსე იყო ნაცრითა და ნახშირით. მასში აღმოჩნდა მოუჭიქავი ჯამი შედრეკილი, კოპიანი ძირით, დამახასიათებელი XIV-XV სს-ის ქართული კერამიკისათვის. თორნის უკან, კედელთან ტალახზე ქვებით

ამოშენებული და თიხით მოღესილი მცირე (0,30X0,20 მ) თაროა, რომელზეც ალბათ ეს ჯამი იდგა თავის დროზე. მეორე ასევე თიხით მოღესილი თარო (თახჩა) გამართული ყოფილა პირველის გვერდით, სარიტუალო კერის უკან, კედელში. ამ ადგილზე ქვა თავიდანვე არ ყოფილა. აშკარაა, რომ მშენებლობის დროსვე დაუტოვებიათ კედელში სივარითი და თიხით გამოუღესავთ. კერის სპეციფიკური ფორმის გარდა, ამ კუთხის რიტუალურ დანიშნულებაზე მიგვანიშნებს თორნის სიმცირეც. ის პრაქტიკული დანიშნულებისათვის აშკარად გამოუსადეგარია. მასში მხოლოდ მცირე ზომის სარიტუალო კვერების გამოცხობა იქნებოდა შესაძლებელი.

წინკარი: მარნის კარების წინ, გარედან, გამართულია წინკარი, რომლისგანაც შემორჩენილია ქვაფენილი, შედგენილი დაუმუშავებელი, მაგრამ კარგად შერჩეული ფილაქვებისაგან და შემომზღუდავი კედლების ნაშთები (ზომები: 1,5X1,2 მ). ამ ქვაფენილზე დადასტურდა ქვის ჭურვი და თიხის სამკუთხა ფილა (ზომები: 9,5X9 სმ.) ტოლმკლავა ჯვრისა და ასომთავრული (წ-ი გ-ი) წარწერის რელიეფური გამოსახულებით (№406, ტაბ. 12).

ასოების მოხაზულობის ანალიზი მიგვანიშნებს, რომ ეს ფირფიტა X ს-ის ბოლო ხანებით უნდა დათარიღდეს. სრულიად აშკარაა, რომ ზემოხსენებული განვითარებული შუასაუკუნეების მოჭიქულ ჯამებსა და კრამიტებთან ერთად, ეს წარწერიანი თიხის ფილაც მოგვიანო ხანაშია აქ მოხვედრილი ფერდობის ჩამორეცხვის შედეგად. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ №9 თხრილის ასწვრივ (აღმ-ით), სულ 20-25 მ-ის მოშორებით მდებარეობს ჩვენს მიერ 2004 წელს გათხრილი მარანი, რომლის ზემოთ, ფერდობზე, სავარაუდოდ დამარხულია განვითარებული შუასაუკუნეების ეკლესიის ნაშთი, რომელიც დახურული უნდა ყოფილიყო მოჭიქული კრამიტით. ჩვენი ვარაუდით, სწორედ ამ ეკლესიიდან უნდა მოდიოდეს ის მოჭიქული კრამიტების, ჯამების ფრაგმენტები და ეს თიხის ფილაც ჯვრითა და ასომთავრული წარწერით, რომლებიც აღმოჩნდა №9 თხრილში გამოვლენილი მარნის ნაშთის ზემოთ დაღეჭილი მიწის ფენაში.

თავის მხრივ, №9 თხრილში გამოვლენილი მარანი თავისი წარმართული მიწისქვეშა საკუროთხევლითა და რიტუალური კუთხით (თორნე და კერა) უნდა უკავშირდებოდეს იქვე, ნავთობსადენის დერეფნის გარეთ არსებულ ბორცვში შემჩნეული ნაგებობის ნაშთებს, რომელიც ჩვენი ვარაუდით, შესაძლოა წარმართული სალოცავის ნანგრევი იყოს. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, სარიტუალო თორნეში, ნაცრის ფენაში დადასტურებული ჯამი, დამაჯერებლად თარიღდება XIV-XV სს-ით. ეს არის თარიღი მარნის ფუნქციონირებისა. ამ თარიღს ადასტურებს მარნის ჩ/აღმ. კედლის გარეთ, საძირკველთან აღმოჩენილი სპილენძის მონეტა (№406) მოჭრილი 1298/99 წწ მეფე ვახტანგ III-ის სახელით. (ლომოური 1948: გვ. 75-77. Джалагания 1958: გვ. 74-75).

ამ მონეტის აღმოჩენის ვითარება დამაჯერებლად გვითარიღებს მასალის აგებისა და ფუნქციონირების დროს, ეს არის XIV საუკუნე.

საყურადღებო სურათი მოგვცა სადაზვერვო თხრილმა მარნის წინკარსა და მიმდებარე ტერიტორიაზე (D 5-D 6 კვადრატების ზონაში), სადაც გამოვლინდა შედარებით არქაული ნაგებობის კედლების ნაშთები. აქ აღმოჩნდა განვითარებული შუასაუკუნეების (XI-XIII სს) ნაგებობის კედლები და კულტურული ფენა, სადაც დადასტურდა ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი მოჭიქული ჯამების ფრაგმენტები (№62, 63, 72, 113, 114). აშკარაა, რომ №9 თხრილში გამოვლენილი XIV ს-ის მარანი დაფუძნებულია განვითარებული შუასაუკუნეების ნაგებობის ნაშთებზე. ამასთანავე, ამ მარნის

ასაგებად ქვაბულის მომზადების დროს, საფუძვლიანად გაუნადგურებიათ ძველი ნაგებობები.

თხრილი №10

მდებარეობს KP 212+350 ნიშნულზე, №9 თხრილიდან სამხრეთით 6 მ. დაშორებით (შემდეგში №9 თხრილის გაფართოვების შედეგად ეს ორი თხრილი შეერთდა). №10 თხრილის ზომები 6X1,5 მ. ჩაეტკრით 2 მ. სიღრმეზე. მთელი ეს ფენა შედგება დანალექი თიხნარი მიწისაგან, რომელშიც სხვადასხვა დონეზე აღმოჩნდა უწესრიგოდ გაბნეული არქეოლოგიური მასალა: განვითარებული შუასაუკუნეებისთვის (X-XI-XIII სს) დამახასიათებელი მოტიქული ჯამების (№87, 88, 134, 146, 138), მოტიქული კრამიტის (№143), მოჩალისფროდ გამომწვარი თხელკედლიანი სასმისების (№137, 141), მინის სამაჯურის (№144), რკინის წიდის (145), თორნის (№135), ქოთნებისა (№136, 142) და სარიტუალო კერის (№45) ფრაგმენტები. რაიმე ნაგებობის ნაშთი არ დადასტურებულა. ზემოთხსენებული არქეოლოგიური მასალა საუკუნეთა განმავლობაში ილექებოდა აქ ფერდობის ზედა ნაწილიდან.

თხრილი №11

მდებარეობს KP 212+350 ნიშნულზე №10 თხრილიდან ს/დ-ით 20 მ. დაშორებით. ზომები: 5X1 მ. ჩაეტკრით 1 მ. სიღრმეზე. საყურადღებო არაფერი გამოჩენილა.

თხრილი №12 (ტაბ. 3,6,7)

მდებარეობს KP 212+400 ნიშნულზე, №11 თხრილიდან სამხრეთით 2 მ. დაშორებით. თავდაპირველად №12 თხრილის ზომები იყო 4X4 მ. 0,5 მ სიღრმეზე (სამი ბარისპირი) ჩასვლის შემდეგ თხრილის მთელ ფართობზე გამოვლინდა უწესრიგო ქვაყრილი, თუმცა აშკარად ჩანდა, რომ ეს ქვაყრილი რაღაც ნაგებობის კედლების დაქცევის შედეგად იყო შექმნილი. მესამე ბარისპირის აღების შემდეგ გამოიკვეთა კედლების კონტურები, რომელთა მიხედვით გავაფართოვეთ თხრილი ყველა მიმართულებით. ბოლოს (თხრილის ზომები 15X11 მ). გამოიკვეთა მართკუთხა (უფრო ტრაპეციის მსგავსი) ნაგებობა (ზომები 10X7 მ), რომელშიც კარგად იკვეთება ორი სააღმშენებლო დონე. კედლები ნაგებია სხვადასხვა ზომის დაუმუშავებული ქვით ტალახზე. დუღაბი გამოყენებულია მხოლოდ საწნახლის კონსტრუქციაში.

პირველი სამშენებლო დონე წარმოდგენილია მარნით, რომლის ს/აღმ. ნაწილში ქვითკირის ორგანოფილებიანი საწნახელია გამართული. საწნახლის ჩ/აღმ. ბოლოში დატანებულია ხერელი, რომელიც ქვითკირისავე ღარით უკავშირდებოდა თაღარს. თაღარის მოვალეობას თავის დროზე ასრულებდა საშუალო ზომის (დაახლ. - 0,65 მ. სიმაღლის) ქვევრი, რომლის ძირის ანაბეჭდიც შემორჩა ორმოს ძირში დადასტურებულ დუღაბის ნაშთზე. თვითონ ქვევრი არ დადასტურდა. მარნის აღმ. კუთხეში, თაღარის გვერდით გაიწმინდა საქაჯავის ფსკერი - ბრტყელი ქვები ერთმანეთთან დაკავშირებული თიხის ხსნარით. აქ რომ ნამდვილად საქაჯავი ყოფილა გამართული, ამას მოწმობს მარნის ს/აღმ. კედლის ჩ/აღმ. ბოლოში გამოვლენილი თახჩა, რომელშიც დადასტურდა ხის ძელის (ბერკეტის) ნაშთი. ეს ძელი გადადიოდა საქაჯავის ფსკერზე და გრძელდებოდა მარნის იატაკზე. მეორე სააღმშენებლო დონეზე მარანი შეუმცირებიათ. ს/დ და ჩ/დ კედლების წინ ამოუშენებიათ ახალი კედლები. ძველ და ახალ კედლებს შორის სივრცე შეუვსიათ მიწით. გაუქმებულა საწნახლის მეორე (ს/დ ნაწილი) განყოფილება. გაუმართიათ მეორე კარები, რომლის სამხრეთ წირთხლსა და ძველი კარების

სამხრეთ წირთხლს შორის ჩაუშენებით ცალკირი ქვის წყობის კედელი. ამგვარად წარმოიქმნა ვიწრო დერეფანი, რომელიც აღმ-ით უკავშირდება მარანს, ხოლო დასავლეთით გარე დერეფანს (წინკარს). ჩრდ. კედლის შუა ნაწილთან აღმოჩნდა ნაცრის სქელი ფენა, აქვე დაფიქსირდა ცეცხლის ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგად გაშავებული კედლის ქვები. ეს ფაქტები მოწმობენ, რომ ამ ადგილზე კერა იყო გამართული. კერასა და თაღარს შორის, ჩ/აღმ. კედლის ძირში აღმოჩნდა იატაკში მყარად ჩასმული ქვის ფილა, რომელზეც დადასტურდა ხის სვეტის ვერტიკალურად მდგარი დამწვარი ნაშთი. ამ ქვის მოპირდაპირედ, დადასტურდა ხის სვეტების საყრდენი ბალიშები მარნის შუა ნაწილში (საწნახლის ჩრდ. კუთხის წინ) და ს/დ გვერდის კედლის ძირში. უეჭველია, რომ ამ ხაზზე იდგა დედაბოძი და კედლისპირა სვეტები, რომლებზეც გადებული თავხეც იკავებდა მარნის ბანურ გადახურვას.

№12 თხრილში გამოვლენილი მარნის თხრისას გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა (ძირითადად კერამიკა) საშუალებას იძლევა განისაზღვროს ძეგლის სტრატეგრაფია.

ზედა ფენებში, ჩაქცეული მიწისა და ღორღის თანდათანობით აღების დროს, სხვადასხვა დონეზე ჩნდებოდა უწესრიგოდ გაბნეული (არა in situ) განვითარებული შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი მასალა: მინის სამაჯურის ფრაგმენტი (№191) G 9 კვადრატში, მარნის დას. კუთხეში, იატაკის დონიდან 0,4 მ-ით ზემოთ; ფაიანსის ჭურჭლის მცირე ფრაგმენტები (№147 - G 7; №153 და №161 - G 8 კვადრატებში). ეს არქეოლოგიური მასალა ამ ტერიტორიაზე მოხვედრილი უნდა იყოს ფერდობის ზემო ნაწილიდან, სადაც ჯერ კიდევ 2004 წლის ზაფხულში №1 და №2 მარნების გათხრის დროს ვივარაუდეთ განვითარებული შუასაუკუნეების ეკლესიის ნაშთების არსებობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, №12 თხრილში გამოვლენილი მარნის ფუნქციონირების ორი ეტაპი იკვეთება: I - როდესაც აიგო ეს ნაგებობა და II, როდესაც მოხდა მისი განახლება შემცირებულ ზომებში. II ეტაპი (შემცირებული მარანი) საწნახელში აღმოჩენილი გვიანი შუასაუკუნეების მოუჭიქავი ჯამის კიდე-კალთით (№158- I 9 კვადრატი) XVI-XVII სს-ით უნდა განისაზღვროს. იგივეს მოწმობს იატაკის დონეზე კერის ნაცრიან ფენაში (H 8 კვადრატი) და მარნის შუა ნაწილში (H 8 და H 9 კვადრატების მიჯნაზე) აღმოჩენილი ცალყურა თიხის სასმისის ფრაგმენტები (თითქმის მთლიანად აღდგა - №196). რაც შეეხება I ეტაპს, მისი განსაზღვრისას გასათვალისწინებელია ადრეულსა და გვიანდელ კედლებს შორის შევსების ქვედა ფენებში დადასტურებული თიხის მოუჭიქავი ჯამის ძირ-ქუსლი (№169 - G 9 კვადრ.), დამახასიათებელია XIV-XV სს-ისათვის. აქვე აღმოჩნდა ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი ჯამის კიდის ფრაგმენტი (№172). ამ კედლებს შორის მიწის შევსების სხვადასხვა დონეზე აღმოჩნდა ადრეული მასალაც (ანგობით მოხატული და ცისფრად მოჭიქული ჯამის ფრაგმენტი (№171 - G 9 კვადრ.), თუმცა გვიანდელი კედლის აგების თარიღის განსაზღვრისას ბუნებრივია ეს არ გამოდგება და გვიანდელი ჯამების მონაცემებს უნდა დავეყრდნოთ. ამრიგად №12 თხრილში გათხრილი თავდაპირველი მარნის აგებისა და ფუნქციონირების თარიღი XIV-XV სს-ით უნდა განისაზღვროს, რაც კარგად ეხამება მონეტებით დათარიღებული მარნების თარიღს (№9 თხრილში).

თხრილი №13

მდებარეობს KP121+430 ნიშნულზე, №12 თხრილიდან ს/დ-ით 30 მ-ზე. ზომები 700-125 სმ. სიღრმე 1,95 სმ. 0,7-0,9 მ. სიღრმეზე თავი იჩინა კედლების

ნაშთებმა. ერთი მათგანი მიმართულია ს/აღ-დან ჩ/დ-კენ. ეს კედელი თითქმის 1 მ. სიღრმეზე ჩადის. მასზე ზემოდან (0,40 მ. მაღლა) გადადის მეორე კედლის ფრაგმენტი მიმართული სამხ-დან ჩრდ-კენ. როგორც ჩანს, ეს ნაშთები თავის დროზე რაღაც ნაგებობებს უკავშირდებოდა. ამჟამად რაიმე კულტურული ფენა არ დადასტურდა. სხვადასხვა დონეზე აღმოჩნდა უწესრიგოდ გაბნეული კერამიკის ფრაგმენტები: განვითარებული შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი მოჩაღისფრო ხელადის (№211), მოჭიქული ჯამების (№198, 206), მოჭიქული კრამიტის (№200) და გვიანი შუასაუკუნეების ჯამის (№199) ნატეხები.

თხრილი № 14

მდებარეობს KP 212+410 № 13 თხრილიდან ჩ/ით 15 მ-ზე. ზომები: 370X110 სმ. სიღრმე 70 სმ. თხრილში გაიწმინდა უწესრიგო ქვაყრილი, რომლის ალების შემდეგ დავდექით უძრავ ყამირზე.

ქვაყრილის ზედაპირზე აღმოჩნდა ობსიდიანის შუბისპირის მსგავსი იარაღი (№201) და მარმარილოს (?) გაპრიალებული ნახევრად გახვეტილი დისკოს ფრაგმენტი (№202). აშკარაა, რომ ეს არქაული ნივთები ფერდობის ზედა ნაწილიდან ჩამორეცხილ მიწას მოჰყვა აქ.

თხრილი №15

მდებარეობს KP 212+410 მ. ზომები: 565X125 სმ. სიღრმე - 95 სმ. თხრილში დადასტურდა უწესრიგო ქვაყრილის ნაშთები. აღმოჩნდა მოჭიქული ჯამის ფრაგმენტი არა in situ მდგომარეობაში (№217).

თხრილი №16

მდებარეობს KP 212+420 მ. ზომები 970X370 მ. სიღრმე 40-90 სმ. თხრილში გამოვლინდა დიდი ღოდებით ტალახზე ნაგები მძლავრი კედლის ნაშთი მიმართული ს/აღმ-დან ჩრდ-კენ. ოდნავ მორკალულია. მას საფასადო კონტური აღმ-ით აქვს მიმართული. დას. მორკალული მხარე როგორც ჩანს გრუნტში იჯდა. ფასადის მხარეს, შუა ნაწილის მოპირდაპირედ გამოვლინდა მიწაში მეარად ჩასმული ქვებით შემოზღუდული მცირე ფართობი (90X70 სმ). ჩაეტყრით სადაზვერვო თხრილი ამ ფართობზე, დადასტურდა სილანარევი თიხნარი ფენა, რომელშიც ჩნდება გვიანი შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (№222, 223, 224) თხრილის ძირში (90 სმ სიღრმეზე) დაახლ. 20 სმ. მიწის ფენაში შეიმჩნეოდა რკინის ჟანგის მინარევი. ამ ნაგებობის დანიშნულება გაურკვეველია.

თხრილი №17

მდებარეობს KP 212 ზომები: 360X150 სმ. h-75 სმ. ამ თხრილში საყურადღებო არაფერი გამოჩენილა. მიწა ნაძრავი იყო, ჩნდებოდა უმნიშვნელო კერამიკის ფრაგმენტები.

თხრილი №18

მდებარეობს KP 212. ზომები: 18X3 მ. სიღრმე - 0,75 მ. ამ თხრილში გაიწმინდა ქვების ცალპირი წყობის სიმი რიგი ს/დან ჩ/აღმ-ის მიმართულებით (ტყემლანას ხევისკენ). ეს რიგები სხვადასხვა დონეზეა ერთმანეთის სისხლოვებს. არქეოლოგიური მასალა არ დადასტურდა (მხოლოდ უმნიშვნელო კერამიკული ფრაგმენტები), არც რაიმე კულტურული ფენა. შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს ეს სარწყავი რუს ნაშთი უნდა იყოს, რომელშიც წყალი ტყემლანას ხევიდან მოდიოდა ადგილ ნავენახარის მოსარწყავად.

თხრილი №19

მდებარეობს KP 212-ზე. №18 თხრილის ჩ/აღმ-ით რამოდენიმე მეტრზე. ზომები 150X100 სმ. სიღრმე - 60 სმ. ამ თხრილში საყურადღებო არაფერი გამოჩენილა.

თხრილი № 20 (ტაბ. 4,8,12).

ამ თხრილში, რომელიც მდებარეობს KP 211+700 ნიშნულზე, სამუშაოები მიმდინარეობდა 2005 წლის ნოემბერში. გაითხარა ერთი ნაგებობა, რომელიც – ისევე როგორც 2004 წელს გათხრილი ნაგებობები – მარანს წარმოადგენს. გათხრების დაწყების საფუძველი გახდა მიწებს შორის გამოვლენილი ორი მოზრდილი ქვა, რომლებიც ერთმანეთთან მიჯრით იყო ჩადგმული. მოიზომა თხრილი სავარაუდო ნაგებობის გამოსაჩენად (3X3 მ).

პუმუსური ფენა ამ ადგილზე მშენებლობის მიერ იყო მოხსნილი. შემდგომი - თიხნარი ფენის მოხსნის შემდეგ გამოიკვეთა არათანაბარი ზომის ქვებისაგან შედგენილი წყობის ზედა რიგი, რომელიც დაზიანებული კედლის შთაბეჭდილებას ტოვებდა და აღმოსავლეთ ნაწილში ჰკრავდა კუთხეს (შემდგომში კვადრატი I 6; “კედლების” სიგრძე 3 მX 2მ; სურ №1195).

თხრილის გაფართოების შემდგომ გამოიკვეთა დაუმუშავებელი ქვების ერთი რიგი, რომლის სიგრძემ შეადგინა 5 მეტრი, ხოლო სიგანემ – დაახლოებით 0,6-0,77 მეტრი (სურ. 1195, 23 , №1). კედელი ორიენტირებულია NE-SW დერძზე. ეს კედელი (გეგმაში რკალისმაგვარად) უერთდება შედარებით მცირე ზომის მეორე კედელს, რომელიც შედგება სამი დიდი ღოდისაგან (საშუალო ზომები: 0,84 X 0,50 X 0, 25 მ). ღოდებს შორის საშუალო ზომის ქვები და კენჭები გვხვდება. ამ დონეზე მოხსნილმა კულტურულმა ფენამ შეადგინა პირველი ბარისპირი, რომელიც შეიცავდა მცირე რაოდენობის მოწითალოდ გამომწვარი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებს (კვ. H 3).

№20 თხრილის ზედა ფენაში აღმოჩენილი დამატარილებელი მასალა:

ქვევრის ფრაგმენტები: №228, 270 - J₅ კვადრატი.

მოჭიქული ჯამების ფრაგმენტები: №241-H₆ კვ. №263 H₃ კვ.

თიხის ჭურჭლის ყურები - №244, 246 - J₄ კვ. №277 - J₅ კვ.

სპილენძის მონეტა - №403 - J₄ კვადრატი, პირველი ბარის პირი. თურქული ვერცხლის აყჩა, წონა = 0,4 გრ. ზედწერილი არ იკითხება. სულთან ურჰანის (1328-29 წწ) მიერ მოჭრილი (Sohrotter 1930: გვ. 17) ფართოდაა გავრცელებული დას. საქართველოში XV-XVII სს-ში. აქვე იჭრებოდა მისი მინაბადებიც.

პრეპარაციის შემდგომ გამოიკვეთა კედლის წყობის ზედა რიგის სრული კონფიგურაცია – დაუმუშავებელი ქვების ორ ან სამ რიგიანი წყობა პორიზონტალურ სიბრტყეში, კედლის საშუალო სიგანე 1 მეტრზე მეტი იყო. აშკარა იყო, რომ ნაგებობის ძირითადი ნაწილი მოქცეული იყო კედლის დასავლეთით, რის გამოც თხრილი გაფართოვდა სწორედ ამ მიმართულებით და კედლის შიდა წყობიდან 20-30 სმ –ის მოშორებით, ჩრდილო-დასავლეთით თავი იჩინა ანალოგიური ქვების ცალკეულმა ნაწილებმა, რომლის გაწმენდის შემდგომ I 7 კვადრატში გამოიკვეთა კირხსნარნარევი წყობის ნაწილი. იგი პირველი კედლიდან 1,3 მეტრის მოშორებით ფიქსირდება. აშკარა გახდა, რომ

აქ კვლავ საწნახლის ნაშთებთან უნდა გვექონოდა საქმე. შესაბამისად, კირხსნარიანი კედლის გამოჩენის მიზნით დაიწყო მისი პრეპარაცია. დადგინდა, რომ კედელი მიმართულია № 1 კედლის პარალელურად, სავარაუდოდ ეს უნდა ყოფილიყო საწნახლის ჩრდილო კედლის შიდა წყობა, რაც დადასტურდა შემდგომი გათხრების დროს. იგი იგივე დონეზე მდებარეობს, როგორც №1 კედელი – ზედაპირიდან 90 სმ-ის, ხოლო ნულოვანი წერტილიდან კი – 1,4 მ-ის სიღრმეზე.

ამ ფენების აღების დროს დადასტურდა კერამიკული მასალა:

№20 თხრილის ქვედა ფენების არქ. მასალა:

თაღარი №243 - J₆ კვადრატში (ტაბ. 12)

ქოთნების ფრაგმენტები:

№231 - J₇ კვადრატი, საწნახლის ფსკერზე.

№281 - E₈ კვადრატი, 1,9 მ სიღრმეზე.

№251 - J₆ კვადრატი, საწნახლის ფსკერზე.

მოჩალისფრო სასამისები:

№237/223 - J₄ კვ

№257 - J₇ კვ.

დოქის გვერდი №236 - J₆ კვ.

მოუჭიქავი ჯამების ძირ-ქუსლები: №235, 261 - J₆ თაღის თავზე.

მოჭიქული ჯამის ფრაგმენტები:

№250 H₆, გარდამავალი ხანა

არქეოლოგიური მასალის უმრავლესობა, განსაკუთრებით საწნახლის ფსკერზე, თაღარის თავზე დადასტურებული, ვერცხლის მონეტასთან ერთად დამაჯერებლად ათარიღებს №20 თხრილში გამოვლენილი საწნახლის ფუნქციონირების თარიღს XV-XVI სს-ით.

თითო-ოროლა განვითარებული შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი კერამიკული ფრაგმენტი შემთხვევით უნდა იყოს მოხვედრილი ამ ტერიტორიაზე.

თხრილის ზომები შეზღუდული იყო ჩრდილოეთის მხრიდან, რადგან აქ უკვე ჩადებული იყო მილი. შესაბამისად თხრილის მაქსიმალური სიგანე გახდა 6,5 მეტრი, ხოლო სიგრძე – 11 მეტრი.

კირხსნარიანი წყობის ჩრდილოეთით, კედლის სრულად გამოჩენის მიზნით ჩატარებული სამუშაოების შემდგომ გამოიკვეთა საწნახლის ჩრდილო კედლის გარე წყობა, რომელიც ქვიშაქვის სხავადასხვა ფორმის ქვებით არის ნაგები და შეკრულია კირხსნარით.

წინა წლებში გათხრილი საწნახელებისაგან განსხვავებით, ამჯერად პირველ რიგში დაიწყო კონსტრუქციის გარეთ არსებული ქვების აღება. შენობის ნგრევის შედეგად წარმოქმნილი იყო დიდი რაოდენობის ქვაყრილი, რომელიც მთლიანად ფარავდა თხრილის ფართობს.

საწნახელის აღმოსავლეთი კედლის სიმძლავრის გარკვევის მიზნით გაიწმინდა მისი გარე ფასადი. I₆ და I₇ კვადრატებში, გამოვლენილი წყობის ზედა რიგის ქვემოთ, დადასტურდა ასევე მშრალი წყობა, თუმცა შეინიშნება სხვაობა ქვების ზომებს შორის. კერძოდ, ირკვევა, რომ № 1 კედლის აღმოსავლეთი ნაწილი დასმულია გაცილებით დიდი ზომის ქვიშაქვის ქვებზე (ზომები: 0, 80-0, 85მ X 0,38 – 0,50მ X 0,18 - 0,22მ), ვიდრე მისი დასავლეთი ნაწილი. დადგინდა, აგრეთვე, რომ კედელი შედგენილია ლოდების გარე და შიდა წყობისაგან და პრინციპულად იგივეა, რაც ე.წ. პერანგული წყობა, თუმცა უაღრესად მდარე ხარისხისაა. მანძილიც პერანგის ქვებს შორის სხვადასხვა ზომისაა, რიგ შემთხვევებში ისინი უშუალოდ ებჯინებიან

ერთმანეთს. შესაძლებლობის შემთხვევაში, ცარიელი სივრცეები შევსებულია წვრილი ქვებით.

საწნახელის დასავლეთი ნაწილის პრეპარირების შემდგომ გამოიკვეთა საინტერესო სურათი: ირკვევა, რომ საწნახელი დადგმულია ადრინდელ შენობაზე, რომლის დაგეგმარება განსხვავებულია. კეროდ, I 7 კვადრატში საწნახელის კედლის ქვეშ გამოჩნდა გეგმაში წრიული ფორმის ერთ რიგიანი წყობა, რომლის სიგრძე 2 მეტრი. ამ წყობის ღონეზე გაიწმინდა პილრაულიკური ხსნარი, რომლის ფართობი შეადგენს 0,5 კვ. მეტრს. ხსნარში გამოყენებულია წვრილად დაფხვნილი კერამიკული ფრაგმენტები და ქვიშა. სტარტიგრაფიული სურათი ნათელია-საწნახელს დანგრეული აქვს ადრეული ნაგებობის ნაშთები. სამწუხაროდ, საფიქრებელია, რომ ეს ნაგებობა საწნახელის აგებამდე უკვე აღარ ფუნქციონირებდა და დანგრეული იყო, რადგან მისი ნაშთები აქა-იქაა შემორჩენილი და დანგრეულია საწნახელის ფართობის გარეთაც.

ამგვარად, ამ მონაკვეთში დადასტურდა ორი სამშენებლო ფენა. ამავე თვალსაზრისით საყურადღებოა საწნახელის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილიც. ამ ფართობში განსაკუთრებით უხვად იყო კონცენტრირებული კედლიდან გადმოცვენილი ქვები. ისინი გაიწმინდა და ფენების მიხედვით თანმიმდევრულად იქნა აღებული, თუმცა ასეთ სერუპულოზურ მეთოდს განსაკუთრებული შედეგი არ მოჰყოლია (არც იყო მოსალოდნელი, მაგრამ რაიმე მოულოდნელობის თავიდან ასაცილებლად ასეთი გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

ამ ნაყარის აღების შემდეგ გამოიკვეთა თვით საწნახელის კონფიგურაცია: იგი აშენებულია სხვადასხვა ზომის ქვიშაქვის ქვებით. კედლების სიგანე საშუალოდ 0,6 მეტრია და კირხსნარზეა ამოყვანილი. იგი მთლიანი ნაგებობის შესაბამისად, დამხრობილია ჩრდილო-აღმოსავლეთ-სამხრეთ-დასავლეთ ღერძზე. საწნახელი გეგმაში სწორკუთხაა. მისი ზომებია: სიგრძე- 5,9; სიგანე - 1,25; სიმაღლე - 0, 87 მეტრი.

ფიქსაციის შემდგომ დაიწყო საწნახელის შიდა ფართობის გაწმენდა. ისიც სხვადასხვა ზომის ნაყარი ქვით იყო ამოვსებული. ნაყარი ასევე თანმიმდევრულად იქნა ამოღებული. დადგინდა, რომ საწნახელი ორ თანაბარ ნაწილად იყო გაყოფილი დაბალი ტიხარის საშუალებით. ტიხარი წარმოადგენდა მცირე ზომის ქვების წყობას, რომელიც კირხსნარით იყო გადალესილი. იგი იმგვარად იყო აგებული, რომ მისი დასავლეთი კიდე უშუალოდ მიმართული იყო წვენის სადინარი ხერელისაკენ. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ამ ტიხრით რეგულირდებოდა საწნახელის ცალკეულ სექციებში დაწურული წვენების ცალ-ცალკე გაშვება თაღარში.

შენობის მთლიანად გამოკვლევის მიზნით გაგრძელდა ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის წმენდა. იმის გამო, რომ მარნის ეს ნაწილი შედის მილსადენის გასხვისების ზოლში, ნაგებობის ნაწილი გაუთხრელი დარჩა.

მარნის ჩრდილო კედელთან, კუთხეში საწნახელის ძირის ღონეზე (ნულოვანი წერტილიდან 1, 65 მ) გაიწმინდა საქაჯავის კონსტრუქციის დეტალები, რომლებიც გამართულია საწნახელსა და მარნის აღმოსავლეთ კედელს შორის. მისგან შემორჩენილია კირხსნარით მოლესილი იატაკი (2,3 X 2,0 მეტრზე). ამავე ადგილას, კედელში დატოვებულია ნიშა საქაჯავის კონსტრუქციის (ხის ძელის) ჩასამაგრებლად. მოლესილი იატაკიდან სითხე ჩაედინებოდა მის დასავლეთით გამართულ თაღარში, რომელიც ასევე კირხსნარშია ჩადგმული და შესაბამისად, თაღარი მოქცეულია საწნახელის კედელთან. ჭურჭლის პირის კიდე უშუალოდ იატაკის ღონეს შეესაბამება.

ამავე დონეზე, საქაჯავის ჩრდილო-დასავლეთით, იატაკზე შემორჩენილია შავი ფერის ფენა, ნაცეცხლური. აქ, ალბათ, კერა იყო გამართული.

სტრატиграფიული სურათის შესამოწმებლად კერის ადგილზე ჩაიჭრა იატაკის დონე. გაირკვა, რომ აქ, ისევე როგორც საწნახელის დასავლეთ ნაწილში, მარნის იატაკი გამართული ყოფილა შედარებით ადრეული ნაგებობის ადგილზე (ტაბ. 10). უფრო ზუსტად, მარნის იატაკის ქვეშ გამოვლინდა ყავისფერი სტერილური ფენა, რომელიც ზემოდან ადევს ნახშირის ნამცეცხვის შემცველ პირველი იატაკის ფენას. ეს ფენა კვადრატში I 6 შეიცავს წვრილი ქვის ყრილს.

საწნახელის ჩრდილო კედლის გასწვრივ გაიწმინდა ქვაყრილი იატაკის დონის დასაფიქსირებლად. საწნახელის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, კედელზე მიდგმული აღმოჩნდა მცირე მოცულობის ბაქანი, რომელიც ჰორიზონტალურად ჩადგმული ორი ქვის ფილისაგან შედგება. იგი განკუთვნილი იყო საწნახელში ყურძნის ჩაყრის პროცესის გასაადვილებლად. ბაქანის დასავლეთით საწნახელის შუა ადგილზე გაიწმინდა ღრმული, რომელიც აქ ოდესღაც არსებული ქვევრის კვალს წარმოადგენს. შესაბამისად, ესაა ადგილი, სადაც მეორე თაღარი იყო გამართული.

როგორც ზემოთ აღინიშნა, გაუთხრელი დარჩა მარნის ჩრდილო ნაწილი. ხოლო რისი გამოკვლევაც მოხერხდა, იმან ასეთი შედეგი მოგვცა: მარნის კედლები ამოყვანილია უმეტესად დაუმუშავებელი ან ნაწილობრივ დამუშავებული ლოდებით, რომელთა ზომები რამდენადმე განსხვავებულია, თუმცა საზოგადოდ, მათი კონფიგურაცია დაახლოებით ერთიდაიგივეა. (ზომები: 0,42X0,87 მ; 0,53X1,02 მ; 0,5X0,85 მ). წყობა მშრალია – ქვები ერთმანეთზე დალაგებულია კირხსნარის გარეშე, თუმცა ალაგ-ალაგ შეინიშნება ტალახის გამოყენების კვალი. ნაგებობის სიგრძე არის 11 მეტრი, ხოლო სიგანე ანუ ის ნაწილი, რომელიც გაითხარა – 6,5 მეტრი. ნაგებობა გეგმაში სწორკუთხაა, თუმცა კუთხეები მკვეთრად გამოხატული არაა სამშენებლო მასალის მოუქნელობისა და სიუხეშის გამო.

მარანი აგებულია იმ ადგილზე, სადაც მანამდე სხვა, როგორც ჩანს, არა სამეურნეო დანიშნულების შენობა არსებობდა.

თხრილი № 21.

მდებარეობს თხრილი № 20-ის ჩრდილო დასავლეთით, მისგან 8 მეტრის დაშორებით (თხრილის ზომები: 16 X 6 მეტრზე). გათხრების დასრულების შემდეგ ამ თხრილშიც გამოვლინდა მარანი (№ 8).

ჰუმუსური ფენა ამ თხრილშიც მოხსნილი იყო მშენებლების მიერ და ზედაპირი წარმოადგენდა თიხნარ მიწას.

თხრილის უმეტეს ნაწილში, ძირითადად E 5, E6 და E 7 კვადრატებში გაიწმინდა დაუმუშავებელი ქვების ყრილი. ამ დონეზე არავითარი კონფიგურაცია არ შეინიშნება (ნულოვანი წერტილიდან 30 სმ). ქვების ყრილის აღება დაიწყო თხრილის სამხრეთ ნაწილში – გაცილებით მეტი კონცენტრაციის ადგილზე.

სულ მოიხსნა ოთხი ფენა და მხოლოდ ამის შემდგომ მოიხაზა შენობის კონტური, უფრო ზუსტად, გამოიკვეთა კედლის ზედა წყობა, რომელიც თხრილის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს (კვადრატი E6, ნულოვანი წერტილიდან 0,20 მ). წყობაში შეინიშნება კირხსნარის მყარი კონსისტენცია. შემდგომი სამუშაოები წარიმართა ამ კედლის კონტურის სრულად გამოსაჩენად. იმავე დონეზე გამოიკვეთა კედლის მიმართულება – ჩრდილო – დასავლეთიდან სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ. მისმა საერთო სიგრძემ შეადგინა 6 მეტრი, სიგანე მერყეობს 0,5 - 0,8 მეტრს შორის.

მარნის კედლები ამოყვანილია დაუმუშავებელი ან ნაწილობრივ დამუშავებული ლოდებით. მათი ზომები განსხვავებულია, თუმცა საზოგადოდ, მათი კონფიგურაცია დაახლოებით ერთიდაიგივეა (ზომები: $0,45 \times 0,70$ მ; $0,30 \times 0,6$ მ). თუმცა კარის ღიობი სულ სხვა ტიპისა და ზომის ქვებითაა შედგენილი. მაგალითად, ერთი ვერტიკალური ქვის ზომებია: სიმაღლე 1 მეტრი, სიგანე – 0,6 მეტრი. წყობა აქაც მშრალია – ქვები ერთმანეთზე დალაგებულია კირხსნარის გარეშე, თუმცა ალაგ-ალაგ შეინიშნება ტალახის გამოყენების კვალი. ნაგებობის ჩრდილო კედლის სიგრძე 5,9 მეტრია, აღმოსავლეთისა – 1,62 მეტრი (ეს კედელი შედის გაუთხრელ ფართობში), ხოლო დასავლეთისა კი – 3,4 მეტრი.

ნაგებობის სამხრეთი ნაწილი შედის გახსადენის მილის გასხვისების ზოლში და, ბუნებრივია, იგი გაუთხრელი დარჩა.

ნაგებობა გეგმაში სწორკუთხაა, თუმცა კუთხეები საკმაოდ ნათლადაა გამოხატული. დასავლეთი კედლის წყობაში გამოყენებულია გათლილი ქვებიც. ნაგებობის კონტურის გაწმენდის შემდგომ გამოიკვეთა რამოდენიმე არქიტექტურული დეტალი. კერძოდ, E 6, E7 და F 6 F 7 კვადრატებში გაიწმინდა საწნახლები, რომლებიც ერთმანეთისადმი მართი კუთხითაა გამართული და კუთხეებით ებჯინება ერთმანეთს.

ეს ერთიანი კონსტრუქცია, რომელიც ამ მარანშია გამართული, განსხვავებულია ყველა მანამდე გათხრილისაგან. როგორც აღინიშნა, იგი შედგება ერთმანეთთან პერპენდიკულარულად მიდგმული ორი მოცულობისაგან. ისინი მცირე ზომისაა: $2,67 \times 1,12$ მეტრზე (№1); მეორე (№2) გათხრილია ნაწილობრივ, რადგან შედის გასხვისების ზონაში. შესაბამისად, მისი ზომები არასრულია – $1,12 \times 2,3$ მეტრზე. საწნახელი შიგნიდან შელესილია კირხსნარით. № 1 საწნახელის სადინარი მილი მიემართება №2 საწნახელის კედლის პარალელურად და ზემოდან ნაწილობრივ გახსნილია.

იმის გამო, რომ ნაგებობა მთლიანად არაა გათხრილი, არაა გამოვლენილი საქაჯავის მთლიანი კონსტრუქცია. საქაჯავის სიტემიდან მხოლოდ დოლაბის ქვა გაიწმინდა. იგი მიუყვებოდა იყო №1 საწნახელის სამხრეთ კედელზე. მისი დმ = 1,1 მეტრს.

სრულიად განსხვავებული დეტალი აღმოჩნდა მარნის შესასვლელთან E 8 კვადრატში, კარის ღიობის მარცხენა “ამყოლთან” ჩადგმულია თითქმის სრულად გათლილი ქვის სვეტი. იგი დგას უშუალოდ კარის ღიობთან, ინტერიერში, კარსა და კედელს შორის არსებულ კუთხეში. ესაა დამუშავებული სვეტის დოლის ფორმის მქონე ქვა, რომლის დმ = 0,52 მეტრის, ხოლო სიმაღლე – 0,76 მეტრის ტოლია.

სრულიად აშკარაა, რომ ნაგებობაში სახურავის კონსტრუქციის შესაკავებლად გამართული იყო სვეტი - №1 საწნახელის სამხრეთ კედელთან მეყრად გამართული დაბალი ცილინდრის ფორმის ქვა ხის სვეტის საყრდენს, ბაზას წარმოადგენდა (კვადრატი F 7). მისი ზომებია: დმ = 0,3 მეტრი; სიმაღლე = 0,1 მეტრი.

№21 თხრილში ზედა ფენაში გამოვლინდა შემდეგი მნიშვნელოვანი მასალა: მოჭიქული ჯამის ფრაგმენტი.

№306 XI ს-ის შემთხვევით მოხვედრილი F 7 კვადრატი.

№370 XIII ს-ის F 9 392 F 9.

ქვევრები:

№280 F 6, 307 F 7.

ქოთნები:

№305 F 7, 291 E 6, 310 F 7, 295 E 6.

ხელადა:

№293 E₆, 323 E₈.

მოუჭიქავი ჯამები:

№292 F₉, 321 E₈, 322 E₈.

მოჭიქული კრამიტი:

№ 309 F₇

მონეტები:

№404 - E₁₀ კვადრატი, 2 მ. სიდრმეზე ქვაყრილში. ვერცხლის აქა - სულთან ურჰანის (1328-29 წწ) მიერ მოჭრილი. ფართოდ გაერცვლებულია დას. საქართველოში XV-XVII სს-ში (№403-ის ანალოგია).

№405 მონეტა სპილენძის, აღმოჩნდა იქვე, უთარიდო. მკლევართა ვარაუდით მოჭრილი უნდა იყოს ჰიჯრით 1014-1075 (1605/6-1664/65) წწ. შორის. (Пахомов 1928: გვ. 91-92)

AV - ბრჭყალებიანი მხეცი, წინ გაწვდილი ღრუნით, დაცკვეტილი ყურებით (ორნამენტი გაცვეთილია).

RV - სპარსული წარწერა („იჭედა ფულუსი თბილისს“), ორნამენტი გაცვეთილია, თარიღი არ შემორჩა. ეს ტიპი მონეტისა დღემდე ერთ ცალადაა ცნობილი (კაპანაძე 1969: გვ. 149-150).

№21 თხრილში ქვედა ფენაში გამოვლინდა შემდეგი მნიშვნელოვანი მასალა: ქვევრები:

№282 F₈, 316 E₈, 360/361 F₁.

მოუჭიქავი ჯამები:

№290 E₅, 298 E₁₀, 312 E₈ მარნის კართან იატაკის დონეზე, 337 E₈, იქვე, 320 F₆, 325/324 F₉, 326/327 F₆.

მოჭიქული ჯამები:

№303 F₉, 328 F₈, 331 F₆, სამარილე, 351 E₁₀.

მოხალისფრო სასმისები:

№285 F₅, 286 F₁, 315 E₁₀, 318 F₁, 330 F₈.

მოჭიქული კრამიტი:

№299 E₁₀.

თორნის ფრაგმენტი:

№357 F₉.

№21 თხრილში გამოვლენილი მარნის ფუნქციონირების თარიღი როგორც არქეოლოგიური მასალის ძირითადი ნაწილის, ასევე მონეტების მონაცემთა შეჯერებით XV-XVI სს-ით უნდა განისაზღვროს. რაც შეეხება XVIII ს-ის სპარსულ მონეტას (№405), მისი თარიღი საბოლოოდ დადგენილი არ არის და ამიტომ ამ შემთხვევაში გადამწყვეტი ვერ იქნება. ამასთანავე არქეოლოგიური მასალის იმ ძირითადი ნაწილის, რომელიც საწნახელში და იატაკის დონეზე დადასტურდა, გადმოტანა XVII ს-სი გაჭირდება. არ არის გამორიცხული ის შესაძლებლობაც, რომ ეს გვიანდელი მონეტა შემთხვევით იყოს მოხვედრილი №21 თხრილის ფართობზე.

5.3. არტეფაქტები.

აწყურის მიდამოებში საანგარიშო წელს მოპოვებული მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა ძირითადად განვითარებულ და გვიან შუასაუკუნეებს განეკუთვნება. მასალის მიხედვით მასში გამოიყოფა შემდეგი კატეგორიები.

კერამიკა

სულ 346 ერთეულია (ფრაგმენტი). იყოფა შემდეგ სახეობებად: 1) მოჭიქული ჯამები (56 ერთ.); 2) მოჭიქული ჯამები (66 ერთ.); 3) ქილა (3 ერთ.); 4) (37 ერთ.); 5) თევში (1 ერთ.); 6) ხელადა (18 ერთ.); 7) დოქი (გიზაური) - (9 ერთ.); 8) სამარილე (3 ერთ.); 9) ფაიანსის ჭურჭლის ფრაგმენტები (7 ერთ.); 10) თხელკედლიანი მოჩაღისფროდ გამომწვარი სასმისები (20 ერთ.); 11) ქვევრები (40 ერთ.); 12) ქოთნის ხუფები (56 ერთ.); 13) ჭრაქები (4 ერთ.); 14) ჩიბუხი (1 ერთ.); 15) დერგი (1 ერთ.); 16) თორნე (3 ერთ.); 17) კვირისტავი (1 ერთ.); 18) წყალადენის მილი (2 ერთ.); 19) საწნახელის თაღარი (1 ერთ.); 20) სარულტო კერა (3 ერთ.); 21) კეცი (3 ერთ.); 22) მოჭიქული კრამიტი (14 ერთ.); 23) კრამიტი მოუჭიქავი (9 ერთ.); 24) გაურკვეველი დანიშნულების ჭურჭლის ფრაგმენტები (35 ერთ.); 25) აგური (1 ერთ.);

ამათგან ყველაზე საყურადღებოა მოჭიქული ჯამები, რომლებიც შეიძლება ორ ქრონოლოგიურ ჯგუფად დაიყოს:

1. ჯამები რომელთა შიდაპირი მოხატულია თეთრი ანგობით და მოჭიქულია ცისფრად. მათთან უნდა გავაერთიანოთ მრავალფრად მოჭიქული ჯამების ფრაგმენტებიც შემკული მცენარეული ორნამენტით. ეს ჯგუფი საქართველოს შუასაუკუნეთა ხანის ნაქალაქარ-ნასოფლარებზე მოპოვებული ანალოგიური მასალის საფუძველზე თარიღდება განვითარებული შუასაუკუნეებით (XI-XIII სს). ეს ფრაგმენტები ძირითადად მოპოვებულია სადაზვერვო თხრილებით (№ 3, №10) ნაძრავ ფენებში, ასევე №2 და № 3 მარნების ქვედა კულტურულ დონეებზე.
2. ჯამები, რომელთა შიდაპირი დაფარულია თეთრი ანგობით და მოჭიქულია მწვანედ. ეს ჯგუფი ასევე მრავალრიცხოვანი ანალოგების საფუძველზე ზოგადად XV-XVI სს-ებს შეიძლება მივაკუთვნოთ, რაც მარნების კულტურულ ფენებში ნაპოვნი მონაცემებითაც დასტურდება. ამ პერიოდში ფუნქციონირებს სწორედ ჩვენს მიერ საანგარიშო წელს შესწავლილი მარნების უმრავლესობა (№ 4, № 5, № 6 და № 7).

მოჭიქული ჯამები თავისი ფორმით (აღარული ბაკო, შედრეკილი, კოპიანი ძირ-ქუსლი), ორნამენტითა და ჭიქურის ხასიათით სრულად ანალოგიურია შუასაუკუნეების საქართველოს სახელოსნო ცენტრებში (თბილისი, რუსთავი, დმანისი, ჟინვალი და სხვ.) წარმოებული კერამიკის ამ სახეობისა.

იგივე შეიძლება ითქვას სამზარეულო (ქოთნები, ქილები, კეცები), სამეურნეო (ქვერი, თონე), სამშენებლო (აგური, კრამიტი) და სხვა სახის თიხის ნაწარმზე. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მოჩაღისფრო სასმისებსა და კრამიტის ჯგუფებშიც ისევე გამოიყოფა განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების ნაწარმი, როგორც მოჭიქულ ჯამებში. ასე მაგალითად, განვითარებულ შუასაუკუნეებს უნდა მიეკუთვნოს უკიდურესად თხელკედლიანი, კანელურებიანი სასმისები ფაქიზად გაპრიალებული ზედაპირით და დაბალი ბურცობებით. ეს ნაწარმი უშუალოდ ემსგავსება თბილისის, დმანისისა და განსაკუთრებით რუსთავის XII-XIII სს-ების სასმისებს. საპირისპიროდ ამისა, აწყურის მასალაში გვაქვს ცალკეული მოჩაღისფრო სასმისებიც (№ 196), რომლებიც უხეში კეცის, დარღვეული პროპორციებით აშკარად განირჩევიან პირველისაგან. მათი ნაწილი დადასტურებულია XV-XVI სს-ის მარნების (№ 4 მარანი) იატაკზე და ამიტომ მათი მიკუთვნება გიანი შუასაუკუნეებისათვის არავითარ ეჭვს არ იწვევს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს თაღარი №6 მარნიდან. ის ერთი შეხედვით ჩვეულებრივ ქვევრს მოგვაგონებს კვერცხისებური მუცლითა და რელიეფური წიბოებით. თუმცა სრულიად განსხვავებული, ვერტიკალური,

გარეთ გადმოზნექილი პირი აქვს. რამდენად საოცარიც არ უნდა იყოს, მე არ მეგულება შუასაუკუნეების ქართულ კერამიკაში მსგავსი ფორმის ქვევრი ან თაღარი, მიუხედავად იმისა, რომ მისი ადგილობრივი წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს. ეს ფრიად ორგინალური ჭურჭელი მსგავსებას იჩენს (პირ-ყელის ფორმით) ბრინჯაოს ხანის ქართულ დიდი ზომის ჭურჭლებთან. ქრონოლოგიური სიშორის გამო ძნელია რაიმე ტრადიციაზე საუბარი, თუმცა ამფაქტის აღნიშვნა მაინც საჭიროდ მიგვაჩნია.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ მაღალხარისხოვანი ფაიანსის ჭურჭლების მცირე ფრაგმენტები. მიუხედავად სიმცირისა, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ისინი ექსპორტის გზითაა მოხვედრილი საქართველოში (ირანიდან?) ალბათ XII-XIII სს-ებში.

მინა

მინის ნაწარმში გვაქვს რაღაც ჭურჭლების (სასმისები?) გვერდის მცირე ფრაგმენტები და სამაჯურების ნატეხები, რომელთა კუთვნილება XIII-XIV საუკუნეებისადმი თითქოს ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ამათგან სამაჯურები აშკარად ადგილობრივი ნაწარმია, რასაც უტყუარად მოწმობს მათი უამრავი ანალოგების პოვნა შუასაუკუნეების ძეგლებზე. ცნობილია აგრეთვე XIII ს-ის მინის საწარმოს ნაშთებიც სოფ. ნატბურთან, სადაც მსგავს სამაჯურებს ამზადებდნენ.

ლითონი

რკინის ინვენტარიდან საყურადღებოა ღურსმნები და ცხენის ნალი, რაც დამახასიათებელია შუა საუკუნეების ქართული ნამოსახლარებისათვის. ცალკე უნდა აღვნიშნოთ რკინის წიდის ფრაგმენტები, რომლებიც მთელ სამუშაო ფართობზე გვხვდებოდა ნაძრავ ფენებში. აშკარაა, რომ ეს წიდები აქ ტყემლანას ზემო ფერდობებიდანაა ჩამორეცხილი და იქ, სადღაც, რკინის წარმოების ნაშთებს გვაგვარაუდინებს.

ცალკე არის აღსანიშნავი ნუმიზმატიკური მასალა. აღმოჩენილი მონეტები დიდ დახმარებას გვიწევს გამოვლენილი ძეგლებისა და არტეფაქტების ქრონოლოგის დადგენაში.

საყურადღებოა XII ს-ის II ნახევრის სპილენძის მონეტის (№ 409) აღმოჩენა № 9 თხრილის ზედა ფენაში. ის აქ იმ დაშლილი კულტურული ფენებიდან უნდა მოხვედრილიყო, რომლიდანაც ვვარაუდობთ მოჭიქული კრამიტებსა და წმ. გიორგის ფილას. მეორე მონეტა 1300 წლისაა (№ 407) აღმოჩნდა №5 მარნის ჩრდ/აღმ კუთხეში, კედლის საძირკვლის ღონეზე. ეს მოწმობს, რომ ეს მარანი XIV ს-ის დასაწყისში, ან I ნახევარშია აგებული.

ასევე საყურადღებოა XVII ს-ის დასაწყისის თურქული ახჩების აღმოჩენა (№ 405-406) № 6 და № 7 მარნებში, რაც უდავოდ მოწმობს ამ მარნების ფუნქციონირებას ასევე გვიანდელ დრომდე.

ქვა

განსაკუთრებით უნდა გამოვეყოთ მოყავისფრო კვიშაქვის სამკუთხა მოყვანილობის ფილა ჯვრის რელიეფური გამოსახულებით. ჯვრის ორივე მხარეს ასევე რელიეფურად გამოკვეთილია ასომთავრული ქარაგმიანი სიტყვები "წმიდაჲ გიორგი" პალეოგრაფიულად სპეციალისტის აზრით (გიორგი გაგოშიძე), ეს გამოსახულება X ს-ით უნდა დათარიღდეს. ის აღმოჩნდა № 9 თხრილში, მარნის კარის წინ (გარედან) ქვის კიბეზე. აშკარაა, რომ ეს გამოსახულება ბევრად წინ უსწრებს № 5 მარნის ფუნქციონირებას (XV ს?) და აქ გვიანაა მოხვედრილი ფერდობის ზემო ნაწილიდან. აქ არ შეიძლება არ გავისხენოთ მოჭიქული კრამიტების ფრაგმენტები, რომელიც სწორედ ამ ზოლში ჩნდება და იქიდანვე უნდა მოდიოდეს, საიდანაც წმ. გიორგის ფილა. ამ თვალსაზრისით ჩვენი ყურადღება ადრევე მიიქცია ბორცვმა სწორედ №5

მარნის გასწვრივ, რომელშიც აშკარად მნიშვნელოვანი ნაგებობის ნაშთია საგულგებელი. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მოჭიქული კრამიტები აშკარად XI-XII სს-ს უნდა ეკუთვნოდეს და მათით ძირითადად ეკლესიებს ფარავდნენ, მაშინ არ უნდა იყოს საფუძველს მოკლებული ამ ბორცვში სინქრონული ეკლესიის ნაშთების არსებობის ვარაუდი.

6.0 ინტერპრეტაცია

მილსადენის 211-ე და 212-ე კილომეტრებზე წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა მეტად მნიშვნელოვანი და მრავალმეტყველი მასალა მოგვცა ძველი საქართველოს ერთ-ერთი კუთხის – სამცხის შუა საუკუნეთა ისტორიის შესაწავლად.

განათხარი მარნები ქვეთკირის საწნახლებითა და საქაჯავებით ნათლად წარმოგვიჩენენ მევენახეობა-მეღვინეობის მნიშვნელოვან როლს ამ რეგიონის მოსახლეობის მეურნეობაში. ამავე დროს, ეს მარნები წარმოადგენენ შუა საუკუნეების ხალხური არქიტექტურის ძეგლებს. საყურადღებოა, რომ როგორც მარნები, ასევე საწნახლები ტიპოლოგიურად მსგავსია საქართველოს სხვა კუთხეებში (კახეთი, ქართლი, არაგვის ხეობა) გათხრილი თანადროული ძეგლებისა (რამიშვილი. 1974; რჩეულიშვილი. 1990; ჭილაშვილი. 1975). ამასთან, ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ აქაურ მარნებში ვერ ვხვდებით ღვინის დასადუღებელ და შესანახ ქვევრებს. ჩვენი აზრით, ეს ნაგებობები საცხოვრებელი სახლებისაგან მოშორებით, ვენახებში იყო გამართული და გამოიყენებოდა მხოლოდ ყურძნის დასაწურად. წვენი მაშინვე მიჰქონდათ იმ მარნებში, რომლებიც საცხოვრებელ სახლთან ახლოს უნდა ჰქონოდათ გამართული. ამას მოწმობს მსგავსი ვითარების დადასტურება არაგვის ხეობაში შუა საუკუნეებისა და გასული საუკუნის დასაწყისის ეთნოგრაფიულ ყოფაშიც (ნანობაშვილი. 1960; სონღულაშვილი. 1974).

ყურადღებას იქცევს ქართული წერილობით წყაროებში ("ნიკორწმინდის დაწერილი") დადასტურებული ტერმინი "საწნახელი" "მარნის" გვერდით (ბერძინიშვილი. 1979). როგორც ჩანს, ჩვენი წინაპრები ანსხვავებენ ერთმანეთისაგან "მარანს", სადაც ღვინის შესანახი ქვევრები იყო და "საწნახელს", სადაც მხოლოდ საწნახელი და საქაჯავი იყო ყურძნის პირველადი დამუშავებისათვის. ამ თვალსაზრისით, შეიძლება უპრიანი იყოს საერთო მარნებისათვის ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინ "სასაწნახლოს" დამკვიდრება.

მეტად საყურადღებო ფაქტია №9 თხრილში გამოვლენილი მარნის ერთ კუთხეში წარმართული სარიტუალო კუთხის დადასტურება მცირე ზომის თორნითა და კერით. ეს უდავო მოწმობაა შუა საუკუნეებში გარკვეული წინაქრისტიანული (წარმართული) საკულტო რიტუალების გადმონაშთის სახით არსებობისა. მსგავსი ფაქტები დადასტურებულია ჟინვალის ნაქალაქარის გათხრების დროს (რჩეულიშვილი. 1990).

გამოვლენილი საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი კერამიკული მასალა ძირითადად მსგავსია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გათხრების დროს მოპოვებული კერამიკისა (ჯაფარიძე. 1956; მიწიშვილი. 1967), თუმცა შეინიშნება გარკვეული თავისებურებებიც. ეს კი იმის ნიშანია, რომ ამ რეგიონში ადგილზე უნდა ეწარმოებინათ როგორც მოჭიქული, ასევე მოუჭიქავი სასუფრე თუ სამეურნეო და სამშენებლო კერამიკა. ცალკე უნდა გამოვყოთ რკინის წილების მრავლად აღმოჩენის ფაქტები, რაც უეჭველი

საბუთია მეღვინეობის განვითარებისა, თუმცა შესაბამის ნაშთებს რკინის სადნობი ქურებისა ვერ მივაკვლიეთ. სავარაუდოა, რომ ეს წარმოება ზემოთ, სოფ. ტყემლანას მიდამოებში ყოფილიყო და აღნიშნული წილების ფრაგმენტები სწორედ იქიდან მოხვდა აქ.

განათხარი ძეგლებისა და არქეოლოგიური მასალის წინასწარი შესწავლის შედეგადაც კი შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჩვენს ხელთაა ძვირფასი ინფორმაციის შემცველი არტეფაქტების კომპლექსი, რომელიც მყარ საფუძველს ქმნის სამცხის შუა საუკუნეების მოსახლეობის ეკონომიკის, კულტურისა და ყოფის შესწავლისათვის. მიღებულია სრულიად ახალი ინფორმაცია ძველი ქართული მეღვინეობის შესახებ.

კულტურულ მცენარეთა შორის პირველად დადასტურდა ზეთისხილი, კაკალი, თხილი. მათ შორის სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ზეთისხილის ნაშთების აღმოჩენა, რაც რადიკალური კლიმატური ცვლილებების მანიშნებელია. გაცილებით თბილი კლიმატის მანიშნებელია აგრეთვე მუხის, ცაცხვის, ფშატის, ქაცვის, ხეჭრელის და ჯაგრცხილის არსებობა XV-XVI საუკუნეებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც პალეობოტანიკური ანალიზის შედეგად ირკვევა, გვიანი შუა საუკუნეების №7 მარანში აღმოჩენილი წიპწები ან პრიმიტულ ჯიშებს მიეკუთვნებოდა, ან არ ტარდებოდა შესაბამისი აგროტექნიკური (გასხვლა და ა. შ.) ოპერაციები, რაც მნიშვნელოვანი დეტალია და კარგად შეესაბამება ამ ხანის ურთულეს ისტორიულ პროცესებს.

7.0 დასკვნები და რეკომენდაციები

7.1 დასკვნა

სოფ. აწყურის მიდამოებში შესწავლილი მარნები ნათელ წარმოდგენას იძლევა სამცხის სამეურნეო ყოფის შესახებ განვითარებულ და გვიან შუასაუკუნეებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ამ მცირე მოცულობის მონაკვეთში თავმოყრილი აღმოჩნდა რვა მარანი, რომელთა მოცულობა საკმაოდ შთამბეჭდავია. კონსტრუქციების მიხედვით სრულიად აშკარაა, რომ ამ მარნებში იწურებოდა სხვადასხვა - შავი და თეთრი ყურძენი.

აღნიშნული მარნები არ წარმოადგენდნენ ისეთ შენობებს, სადაც დაწურული წვენი ინახებოდა. ამით აიხსნება ის, რომ არც ერთ მათგანში წვენის შესანახი ქვევრები არ აღმოჩენილა. ერთადერთი სახეობა ჭურჭლისა, რომელიც აქ ჩნდება, არის სამზარეულო და სუფრის ჭურჭელი, უფრო ზუსტად, მცირე ზომის დოჩები და თასები.

ინტერდისციპლინარული კვლევის შედეგად დადგენილია, რომ მარნებში ძირითადად დაწურულია ისეთი ყურძნის ჯიშები, რომლებიც დღეს საღვინედ არ გამოიყენება. მათი უმეტესობა განეკუთვნება წვრილმარცვლოვანი ყურძნის ჯიშებს, რომლის ანალოგიები რუდიმენტული და გაველურებული სახით შემორჩენილია მხოლოდ სამცხის ტერიტორიაზე. საინტერესოა ისიც, რომ ხორბლეულთან ერთად აქ გვხვდება ჭვავიც.

ტერიტორიის ორგანიზაციის თვალსაზრისით აღსანიშნავია ნაკვეთების გასამიჯნი ქვის რიგების (ყორეების ფუნქციით) დადასტურება და საირიგაციო სისტემები, რომელთაც სათავე სოფ. თისლის მიდამოებში უნდა ჰქონოდა.

ეკონომიკური ურთიერთობის თვალსაზრისით საინტერესოა ისიც, რომ მარნების მოდამოებში მონეტები გვხვდება, რაც, შესაძლოა, იმ კონკრეტული მომენტის ამსახველი იყოს, როდესაც ღვინოზე გარიგება უშუალოდ ვენახში და მარანთან ხდება.

ამდენად, აწყურის ტერიტორიაზე ჩატარებულმა გათხრებმა მოგვცა სრულიად ახალი მასალა ძველი სამცხური მეღვინეობის შესახებ X-XI საუკუნეებიდან ვიდრე XVII საუკუნემდე.

7.2 რეკომენდაციები

I. აწყურის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად დაკონსერვებულია №№ 12 და 5 თხრილებში გამოვლენილი მარნები. ხოლო KP 212-ზე მოხდა მარშრუტის ნაწილობრივი შეცვლა.

II. KP 211 + 900 მშენებლობის დროს განადგურებულია მთლიანი მარანი (ამ ფაქტის ამსახველი ფოტოები დაცულია ოთ. ღორთქიფანიძის სახ. არქეოლოგიის ინსტიტუტის ახალმშენებლობათა განყოფილებაში).

არა თუ აუცილებელი, არამედ სავალდებულოა ამ განადგურებული მარნის სანაცვლოდ საკომპენსაციო გათხრების ჩატარება, რადგან: 1) ასეთი შეთანხმება არსებობდა ბპ-ის დირექციასთან და იგი უნდა შესრულდეს; 2) ყველა გამოვლენილ ცალკეულ მარანს აქვს სრულიად განსაკუთრებული მეცნიერული მნიშვნელობა და შესაბამისად, ყველა ასეთი შემთხვევის უგულვებელყოფა მეცნიერულ სიახლეზე უარის თქმას ნიშნავს.

III. KP 211 და 212 ნიშნულებზე გამოვლენილი ნაგებობების კონცენტრაცია იმისი მანიშნებელია, რომ გარშემო, გაუთხრელ ფართობში, დერეფნის ორივე მხარეს განფენილია არქეოლოგიური ნაშთები. შესაბამისად, ამ მონაკვეთში

ნებისმიერი მასშტაბისა და სახის სამუშაოთა დაგეგმვის შემთხვევაში აუცილებელია არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარება.

IV. გამოვლენილი ძეგლების არქიტექტურული მრავალფეროვნება (დაგეგმარება, ინტერიერის ორგანიზაცია, ფუნქციონალური დატვირთვა), მისი დაცულობა და მეცნიერული სიახლე იმდენად დიდი მნიშვნელობისაა, რომ აუცილებელია მათი სრულად გამოცემა ქართულ და ინგლისურ ენებზე.

8.0 ბიბლიოგრაფია

1. ბატონიშვილი ვახუშტი, 1973, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, "ქართლის ცხოვრება", ტ. I, თბილისი.
2. ბერიძე ვ., 1970, სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები. თბილისი,
3. ბერძენიშვილი მ., 1979, მეთერთმეტე საუკუნის ქართული საისტორიო წყაროები, თბილისი,
4. გეგეჭკორი ა. 1979, ჩვენი ტყეების ბინადრები. თბილისი.
5. დუნდუა გ. 1964, სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში. თბილისი.
6. ექვთიმიშვილი ზ. 1946, კავკასიის ირემი ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალში, თბილისი.
7. კავკასიის გეოლოგია, 1933, პროფ. ალ. ჯანელიძის ლექციების მიხედვით შედგენილი კონსპექტი, ტფილისი.
8. კაპანაძე დ., 1969, ქართული ნუმიზმატიკა, თბილისი.
9. ლიჩელი ვ., 2001, კოლხეთისა და იბერიის კულტურის საკითხები, თბილისი
10. ლომთათიძე გ. 1977, საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა XI-XIII საუკუნეებში, თბილისი..
11. ლომთათიძე გ. 1955., არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წლის ზამთარში. მსკა. თბილისი.
12. ლომთათიძე გ. 1974, შუაფეოდალური ხანის ნამოსახლარების გათხრა სამშვილდის მიდამოებში. ფსად. ტ. I, თბილისი.
13. ლომოური თ. დავით VII და ვახტანგ III ფულები, სს XV-B 1948
14. მარუაშვილი ლ. 1964, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია. „ცოდნა“, თბილისი.
15. მარუაშვილი ლ. 1969, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
16. მასალები საქართველოს ფაუნისათვის, 1974, ნაკვ. IV, მეცნიერება, თბილისი.
17. მიწიშვილი მ. 1967, მოტიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში. თბილისი.
18. ნანობაშვილი ი. 1960, ვახის ძველი კულტურა ქიზიყში, თბილისი.
19. პეტრიაშვილი რ. 1975., მესხეთის ნიადაგები, გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო", თბილისი.
20. რამიშვილი რ. 1970, ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. ტ. I, სიონი, თბილისი.
21. რამიშვილი რ. 1974, იაღსრის ნამოსახლარი და მლაშეების გორის მარანი, ფსად, ტ. II, თბილისი.
22. რჩეულიშვილი გ. 1990, ფშავის არაგვის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი.
23. რჩეულიშვილი გ. 1975, არქეოლოგიური კვლევა-ძიება ხერთვისის კოშკთან. კრებ. "უინვალის ექსპედიცია", თბილისი.

24. რჩეულიშვილი გ. 1981, დევებიანისა და დიდრუგის ნასოფლარები, კრებ. ჟინვალის ექსპედიცია". თბილისი.
25. რჩეულიშვილი გ. არაგვის ხეობის საწნახლები. კრებ. "არქეოლოგიური ძიებანი", თბ., 1977
26. საბაშვილი მ. 1965, საქართველოს სსრ ნიადაგები, გამომცემლობა "მეცნიერება", თბილისი
27. საქართველოს ცხოველთა სამყარო, გამომცემლობა – „მეცნიერება“, ტ. I – თბ. 1965, ტ. II – თბ. 1964, ტ. III – თბ. 1973.
28. სონდულაშვილი ჯ. 1974, საქართველოს მევენახეობა-მელვინეობის ისტორიისათვის. თბილისი.
29. სუმბაძე ღ. 1968, ქართული მარნის ხუროთმოძღვრება. "ძეგლის მეგობარი". 16, თბილისი.
30. ქართლის ცხოვრება", 1955, ტ. I, თბილისი.
31. ქართლის ცხოვრება", 1959, ტ. II, თბილისი.
32. დამბარაშვილი ნ, ბურჯანაძე ვ. 1966, საქართველოს ნადირ-ფრინველი, „ნაკადული“, თბილისი.
33. დამბარაშვილი მ, 1972, ჯანაშვილი ა. ზოოლოგია, თბილისი.
34. ჩხატარაშვილი მ. 1964, რუსთავის შუასაუკუნეთა მოუჭიქავი კერამიკის ერთი სახეობა, "მაცნე", №I. თბილისი.
35. ჩხატარაშვილი მ. 1969, შუა საუკუნეების რუსთავში მინის წარმოების ისტორიისათვის, ფსად, ტ. I, თბილისი.
36. ძველაია მ. 1975, ეტიუდები საქართველოს გეოლოგიური წარსულიდან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1962.
37. ჭილაშვილი ღ. ძველი გავაზი, თბილისი.
38. ჯავახიშვილი აღ. საქართველოს გეოგრაფია, 1926, ტ. I, გეომორფოლოგია, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, ტფილისი.
39. ჯანაშვილი ა. 1950, ძეგლი და აფთარი. სახელგამი, თბილისი.
40. ჯანაშვილი ა. 1950, ჯიხვი, სახელგამი, თბილისი.
41. ჯანაშვილი ა. 1977, საქართველოს ჩლიქოსნები. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
42. ჯანაშვილი ა. 1963, საქართველოს ცხოველთა სამყარო, ტ. III, ხერხემლიანები, თბილისი.
43. ჯანაშვილი ა. 1950, მაჩვი და კვერნა. სახელგამი, თბილისი.
44. ჯანაშვილი ა. 1958, საქართველოს ფაუნის გარდაქმნა, თბილისი.
45. ჯანაშვილი ა. 1974, ზოოგეოგრაფია. თბილისი.
46. ჯაფარიძე ვ. 1956, ქართული კერამიკა, (XI-XIII), თბილისი.
47. Джалагания Н. Л. 1958, Истории монетного дела в Грузии XIII века. Тбилиси.
50. Пахомов Е. А. 1910, Монеты Грузии, СПб.
49. Рахомов Е. А. 1928, Вес и достоинство медной монеты Тифлиса XVII-XVIII вв. "Востоковедение", т. III Изд. Восток. факультета Аз. вос. Университета, Баку.
50. The Enyclopaedia of Islam v. I. L-L. 1955
51. Schrotter F. 1930, Worterbuch der Mnzkunde B-L.
52. Licheli V., 1999, - St. Andrew in Samtskhe-archaeological proof?. In: Ancient Christianity in the Caucasus. Iberica Caucasia. Vol. 1. London.
53. Licheli V., 1999 - Une ville des VIIe –Ier siecles. In: Religions du Pont – Euxin, Paris.
54. Licheli V., 1999 -The Black Sea – Vani – Samtskhe: the Spreading Route of Black-glazed Pottery. In: La Mer noire Zone de Contacts. Paris.

დანართი B

ლითონის მასალის კვლევის ანგარიში

რესტავრირებულია ლითონის რვა არტეფაქტი:

1. რკინის გაურკვეველი დანიშნულების ნივთი №1-100
2. რკინის გაურკვეველი დანიშნულების ნივთი №1-101
3. ბრინჯაოს გაურკვეველი დანიშნულების ნივთი №3-316
4. ბრინჯაოს გარსაკრავი №4-340
5. ბრინჯაოს ბაღთა №5-339
6. ბრინჯაოს მონეტა №4-404
7. ტყვიის ბეჭედი №7-407
8. ბრინჯაოს რგოლი №8-400

სპექტრული ანალიზით დადგენილია ორი არტეფაქტის ქიმიური შემადგენილობა (ცხრ. 1).

1. ბაღთა №5-339 ქიმიური შემადგენილობა: (Cu-87,0; Sn-0,45; Zn-0,8). დამზადებულია მინარევებიანი სპილენძისაგან.
2. ბეჭედი №7-407. ქიმიური შემადგენილობა: (Pb-96,0; Cu-1,5; Sn-1,3). დამზადებულია ტყვიის შენადნობისაგან (Cu-98,0; Sn-0,75; Pb-96,0; Ag-0,023) (ფოტო 1).

ბრინჯაოს მასალის სარესტავრაციო სქემა

რესტავრაციის წინ თითოეული ნივთი დაექვემდებარა მაკროსტრუქტურულ-მორფოლოგიურ შესწავლას და ფოტო ფიქსაციას (ფოტო 2).

ბრინჯაოს არტეფაქტები დამუშავდა მექანიკურად ლანცეტისა და სხვა ბასრი იარაღების გამოყენებით. სამუშაო მინდინარეობდა მიკროსკოპის ქვეშ მაღალი განათების პრობებში. გაწმენდილი ნივთი დამუშავდა აცეტონით და მშრალი ნივთები დაიფარა თერმოპლასტიკური აკრილის პოლიმერით პარალოიდ ბ 72 (პარალოიდ ბ 72 + აცეტონი (40გ. + 1,5ლ.) (ფოტო 3).

რკინის მასალის სარესტავრაციო სქემა

რკინის ინვენტარი დამუშავდა მექანიკურად, ბორმანქანაზე, აღმასისა და ფოლადის ჯაგრისის საშუალებით.

მექანიკურად გაწმენდილი ნივთები დამუშავდა შემდეგი სარესტავრაციო ხსნარით: ტანინი + სპირტი + ორთოფოსფორმჟავა, შემდეგ ეტაპზე კი მხოლოდ ტანინის სპირტხსნარით (პროცესი განმეორდა რამდენჯერმე). საკონსერვაციოდ ნივთი დაიფარა თერმოპლასტიკური აკრილის პოლიმერით პარალოიდ ბ 72 (პარალოიდ ბ 72 + აცეტონი (40გ. + 1,5ლ.).

სპექტრული ანალიზის შედეგები

ცხრილი 1

არქეოლოგიური უბნის ნომერი: IV-266

№	ლაბორატორიის შიფრი	ნივთის დასახელება	აღმოჩენის ადგილი	Cu	Sn	Pb	Zn	Bi	Ag	Sb	As	Fe	Ni	Co	Au
1	U-705	ბრინჯაოს ბაღთა	№339	87,0	0,45	0,35	0,8	0,005	0,08			0,08	0,03		
2	U-706	ბეჭედი (ვერცხლი, ანთ)	№407	1,5	1,3	96,0		0,16	0,023			0,014			

დანართი C-1

პალეოზოოლოგიური მასალის კვლევის ანგარიში

ოლეგ ბენდუქიძე

აწყურის ოსტეოლოგიურ მასალაში აღმოჩენილია შინაური ცხოველების სიჭარბე. მათ შორის აღმოჩნდა შინაური ძროხის, შინაური ღორის, ცხენის, ვირის, კამეჩის, ძაღლის და ქათმის ნაშთი. გარეული ცხოველებისაგან აწყურში დადგინდა მხოლოდ ირემი და ერთ გროვაში მემინდვრიას ყბები და იზოლირებული კბილები.

აწყურის ძროხა აშკარად ორი ტიპის ჯიშს ეკუთვნის – დიდი და პატარა ზომისა, რაც კარგად დგინდება მათი ძვლების განსხვავებული ზომების საფუძველზე.

აწყურის ღორის ძვლები თავისი ზომის და მორფოლოგიის მოხედვით არ განისაზღვრება აბორიგენული შავი კახური ჯიშის ღორისაგან. ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩის მიხედვით, ეს შავი ღორი თავისი წარმოშობით სამხრეთ აზიის რეგიონს უნდა დაუკავშიროთ (*Sus vitattusi*-ს ჯგუფს).

აწყურის ცხენი საკმაოდ დიდი ზომის ცხოველი ჩანს, მაგრამ მასალაში კბილების ფაქტიური არარსებობა არ გვაძლევს უფრო ზუსტი განსაზღვრის შესაძლებლობას.

რაც შეეხება შინაურ ვირის ნაშთებს, საქართველოს ტერიტორიაზე ისინი იშვიათობას არ წარმოადგენს. მაგალითად, ვირის ნაშთები უხვად არის წარმოდგენილი მცხეთის არქეოლოგიურ მასალაში (დ. ბურსაკის განსაზღვრა).

გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს კამეჩის ძვლების აღმოჩენა (მეტატარზალური ძვალი, კიდურების ფალანგები, ჩლიქები). ეს მასალა განისაზღვრა მეტატარზის დისტალური როკების ფორმის, II ფალანგების სიმოკლის და ჩლიქების სიგრძის საფუძველზე. აქ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში კამეჩის მონაპოვრები აქამდე არ იყო ცნობილი, მაგრამ ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩის ცნობით, კამეჩის ძვლები ხშირად გვხვდება აზერბაიჯანში.

აწყურის ოსტეოლოგიურ მასალაში განსაკუთრებით საინტერესო მონაპოვარს წარმოადგენს პატარა ზომის ძაღლის ზედა ყბის ფრაგმენტი, რომელსაც აღენიშნება როსტრუმის სიმოკლის ნიშნები. ამ ყბას აშკარად შეენიშნება ე. წ. "კულისებრი" ანუ ირიბი პრემოლარების განლაგება. კერძოდ, მესამე ზედა პრემოლარის უკანა ნაწილი მიმართულია მტაცებლური კბილისაკენ (P_3) ოდნავ ლატელარულად. როგორც ცნობილია (ბენდუქიძე 2001), პრემოლარების ამგვარი ირიბი განლაგება ძაღლებში, როგორც წესი, მოკლე როსტრუმის მაჩვენებელია. ამრიგად ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აწყურში ჩვენ გვაქვს საქმე "ბოქსიორის" ან "ბულდოგის" მსგავს ძაღლის ფორმასთან.

დანართი D 1

პალეოეთნობოტანიკური კვლევის ანგარიში

ნანა რუსიშვილი, ნ. მელაძე

ნამარხი ბოტანიკური მასალის გამოსავლენად შევისწავლეთ ნიადაგის ნიმუშები აწყურის ნასახლარის სხვადასხვა ფენებიდან. პალეოეთნობოტანიკური თვალსაზრისით შესწავლილ იქნა 8 ნიმუში. ბოტანიკური მასალა აღმოჩნდა 6 ნიმუშში.

ნიადაგის სინჯები, ბოტანიკური მასალის გამოვლენის მიზნით, დამუშავდა ფლოტაციური მეთოდით, რაც გულისხმობს ნიადაგის ე. წ. გარეცხვას წყლისა და CCL₄-ის გამოყენებით. შემდგომ ხდება გამოვლენილი მასალის ფრაქციებად დაყოფა სხვადასხვა დიამეტრის საცრის საშუალებით, მისი გაშრობა, გამაგრება-კონსერვაცია და მომზადება საიდენტიფიკაციოდ.

გამოვლენილი ბოტანიკური მასალა წარმოადგენს მცენარეთა განამარხებულ ნაყოფებსა და თესლებს. ბოტანიკური მასალის იდენტიფიკაცია სტერეოსკოპული მიკროსკოპის საშუალებით ხორციელდება გვარებისა და სახეობების დონემდე მორფოლოგიურ ნიშანთა კომპლექსის მიხედვით (Доброхотов В. Н. – 1961; Кац Н. Я; кац С. В. Кипиани М. Г. – 1965; Роллов А. Х. – 1908; Latalova M. – 1999).

მასალის შესწავლის შედეგად გამოვლენილია კულტურულ და სარეველა მცენარეთა 8 სახეობა. იდენტიფიცირებულია ხორბალი, ჭვავი და ვაზი. (ცხრილი №1).

არქეობოტანიკურ მასალაში ხორბალი წარმოდგენილია მრგვალი ფორმის წვრილი მარცვლებით. მარცვლის აპიკალური და ვენტრალური მხარეები თანაბრად ფართოა, ვენტრალური ღარი ღრმაა. დორსალური მხარე მომრგვალებულია. მარცვლის სიგრძის შეფარდება მის სიგანესთან (L\B) მერყეობს 1.3-1.6 ფარგლებში (ცხრილი №2). ყოველივე ზემოთ აღნიშნული საშუალებას გვაძლევს ხორბლის კარბონიზირებული მარცვლები მივაკუთვნოთ *Triticum aestivo-compactum* Shiemann-ის პოპულაციას. ასეთი იდენტიფიკაცია მიღებულია პალეოეთნობოტანიკაში, როდესაც მკვეთრი საზღვრის გატარება რბილ და კომპაქტურ ხორბლებს შორის ძნელდება.

ჭვავი – *Secale cereale* ssp. *segetale* Zhuk. – პალეოეთნობოტანიკურ მასალაში დაფიქსირებულია ხორბალთან ერთად თანაბარი რაოდენობით. მარცვლებს აქვთ მახვილი ფუძე და ბლაგვი აპიკალური ნაწილი, ვენტრალურ მხარეს შეინიშნება ღარი. ცხრილ №3-ში წარმოდგენილია თესლების პარამეტრები და ინდექსები. ხორბლის ნათესების ჭვავით ასეთი მაღალი ხარისხით დასარეველიანება შესაძლოა აიხსნას ხორბლის ნათესების ჩრდილოეთ ფერდობებზე არსებობით. ჩრდილოეთ ფერდობებზე, სადაც არ ხდება მზის სხივებით მათი პირდაპირი განათება, ხორბლის ნათესები დიდხანს რჩება მოსვენების მდგომარეობაში, ჭვავი, რომელიც სათესლე მასალაში მოხვდა, როგორც სარეველა, გადადის დომინანტურ მდგომარეობაში და დიდი რაოდენობით იკავებს ხორბლის ნათესებს. დაბალი ტემპერატურის გამო ხორბალი კონკურენციას ვერ უწევს ჭვავს (Hillman, 1978, pp. 157-174).

ვაზი დაფიქსირებულია ორ ნიმუშში (ცხრილი №1) ორსავე შემთხვევაში ნამარხი წიპწები (ტაბ. XVI) გამოვლენილია №7 მარნიდან აღებულ ნიადაგის სინჯებში. ვაზის წიპწები ძლიერ იყო დაზიანებული, ამიტომ პარამეტრების გამოანგარიშება მოხერხდა მხოლოდ მცირე ნაწილზე (ცხრილი №3-4). მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით წიპწები მცირე ზომისაა: სიგრძე $|L|$ მერყეობს 3.5-დან 5 მმ-მდე, სიგანე $|B|$ 2.0-დან 3.5 მმ-მდე, ნისკარტის სიგრძე 0.7-დან 1.0 მმ-მდე, შეფარდება L/B 0.7-1.0 ტოლია (Неруль А.М. – 1960, стр. 111-119). წიპწებს აქვთ მსხლის ფორმა, ქალაძა თესლის შუაშია მოთავსებული, ვენტრალური შოვი არ შეინიშნება, გვერდითი ღრმულები ძირითადად პარალელურად არიან განლაგებულნი. ნეგრულის (1960) კორელაციური მრუდის თანახმად, წვრილი თესლები განაპირობებს წვრილ მარცვლებს. ამიტომ მარანში აღმოჩენილი წიპწები ან მიეკუთვნებოდა პრიმიტულ ჯიშებს ან არ ტარდებოდა შესაბამისი აგროტექნიკური (გასხვლა და ა. შ.) ოპერაციები.

სარეველა და ველური მცენარეები

1. **Agrostemma githago L.** – ჭიოტა. მიხაკისებრთა (Caryophyllaceae) ოჯახი. თესლის ზომებია $2.5 \times 2 \times 1.5$ მმ. აბეზარი სარეველა მცენარეა. აღმოცენების უნარს ინარჩუნებს რამდენიმე წლის განმავლობაში. მოსავლის აღების შემდეგ ჭიოტა არ იფანტება ნიადაგში, იგი სათესლე მასალაში ირევა და იწვევს მარცვლოვნების დიდი ხარისხით დასარეველიანებას. თესლები შეიცავენ ტოქსიურ გლუკოზიდ აგროსტემინს. დიდი წნევის ქვეშ გლუკოზიდი იხლინება და თესლი ტოქსიურობას კარგავს. ასარეველიანებს ძირითადად საგაზაფხულო ნათესებს.
2. **Galium spurium L.** – ბეგიაური. ოჯახი – Rubiaceae. თესლის ზომებია $1.5 \times 1 \times 1.25$ მმ. ცნობილია, როგორც სელის სარეველა, იშვიათად ასარეველიანებს მარცვლოვან კულტურებს.
3. **Galium tricornе Stokes.** – ხოვერა. ოჯახი – Rubiaceae. თესლის ღიამეტრია 2-2.5 მმ. ძირითადად მარცვლოვანი კულტურების სარეველაა.
4. **Setaria viridis L.** – მწვანე ძურწა. ოჯახი - Graminae (მარცვლოვნები). თესლის ზომებია 1.0×0.8 მმ. მარცვლოვანი კულტურების სარეველაა, იზრდება გზის ნაპირებზე.
5. **Solanium nigrum L.** – ძაღლყურძენა. ოჯახი - Solanaceae. თესლის ზომებია $1.5-2.0 \times 1.25-1.5 \times 0.5-0.7$ მმ. ძაღლყურძენა ცნობილია როგორც სარეველა, იზრდება გზის ნაპირებზე, სახლებთან ახლოს, ნაგავსაყრელებზე, მდინარის ნაპირებზე. მცენარე შეიცავს ნარკოტიკულ ნივთიერება სოლანინს. ძველად მცენარის ნაყოფს მცირე რაოდენობით აძლევდნენ ბავშვებს ნაწლავური პარაზიტების მოსაცილებლად.

ამრიგად, პალეოეთნობოტანიკური მასალის შესწავლის შედეგად გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნა ნამოსახლარის აგროცენოზების რეკონსტრუქციის თვალსაზრისით. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მიწათმოქმედება აღნიშნულ რეგიონში, დროის განსაზღვრულ მონაკვეთში არ იყო წარმატებული. შესაძლოა ეს მხოლოდ ლოკალურ ხასიათს ატარებდა და არ ვრცელდებოდა მთლიანად რეგიონზე.

აწეურის ცხრილი №1-ის განმარტება

1. მარანი №7, საწნახელი №2, 1.8 მ.
 1. Vitis sp.
 2. Solanium nigrum L.
 2. მარანი №7 შავად გამომწვარი ყურიანი დოქი, 1.8 მ.
 1. Vitis sp.
 2. Galium tricornne
 3. Setaria viridis
 3. მარანი №7 საწნახელის ჩრდილო-დასავლეთ კედელთან
 1. Triticum aestivo-compactum
 2. Secale cereale ssp. segetale
 3. Galium spurium
 4. Agrostemma githago
 4. მარანი, თხრილი №20 კერის გარშემო.
ბოტანიკური მასალა არ აღმოჩნდა
 5. მარანი, თხრილი №20, საქაჯავის ფსკერის დონე.
ბოტანიკური მასალა არ აღმოჩნდა
- მარანი, თხრილი №20 კერის ირგვლივ.
1. Solanium nigrum
7. მარანი, თხრილი №20 ცენტრალური თაღარის თავი.
 1. Setaria viridis
 2. Solanium nigrum
 8. მარანი, ჰიდრავლიკური ხსნარის ქვეშ.
ბოტანიკური მასალა არ აღმოჩნდა

ცხრილი 1.

აწეურის ნამოსახლარის პალეოეთნობოტანიკური მასალის სახეობრივი შემადგენლობა

№	Species	ადგილი								Familia
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
0	Agrostema gethagol L.			x						Garyophyllaceae
2	Galium spurium			x						Rubiaceae
3	galium tricornne		x							Rubiaceae
4	Secale cereale ssp segetale			x						Graminae
5	Setaria viridis		x					x		Graminae
6	Solanium nigrum	x					x	x		Solanaceae
7	Triticum aestivo-compactum			x						Graminae
8	Vitis sp	x	x							Vitaceae

ცხრილი 2

მარანი №7. საწნახელის ჩრდილო დასავლეთ კედელთან
რბილი ხორბლის პარამეტრები და ინდექსები

№	L	B	L/B	B/L %	T/L %	T/B %
1	5,2	3,8	1,368421	73,076923	42,30769231	57,89473684
2	6	4	1,5	66,666667	36,66666667	55
3	5	3,2	1,5625	64	40	62,5
4	4,5	3	1,5	66,666667	44,44444444	66,66666667
5	5	4	1,25	80	50	62,5
6	5,2	3,2	1,625	61,538462	42,30769231	68,75
7	4,5	3,3	1,363636	73,333333	44,44444444	60,60606061
8	4	3,2	1,25	80	45	56,25
9	5	3,5	1,428571	70	40	57,14285714
10	5	3,2	1,5625	64	44	68,75

ცხრილი 3

მარანი №7. საწნახელის ჩრდილო დასავლეთ კედელთან
ჭვავის პარამეტრები და ინდექსები

№	L	B	L/B	B/L %	T/L %	T/B %
1	5,5	2,2	2,5	40	40	100
2	5	2,4	2,083333333	48	44	91,66666667
3	4,5	2	2,25	44,44444444	44,44444444	100
4	6	2,2	2,727272727	36,66666667	36,66666667	100
5	6	2,2	2,727272727	36,66666667	33,33333333	90,90909091
6	6	2,5	2,4	41,66666667	36,66666667	88
7	6	2,5	2,4	41,66666667	36,66666667	88
8	5,5	2	2,75	36,36363636	36,36363636	100
9	6	2,2	2,727272727	36,66666667	40	109,0909091
10	4,5	2,2	2,045454545	48,88888889	44,44444444	90,90909091

ცხრილი 4

მარანი №7, საწნახელი №2
ვაზის პარამეტრები

№	L	B	ნისკარტის სიგრძე	L/B
1	3,5	2,5	0,8	1,4

ცხრილი 5

მარანი №7, შავად გამომწვარი ყურიანი დოქი
ვაზის პარამეტრები

№	L	B	ნისკარტის სიგრძე	L/B
1	4	2,5	0,7	1,6
2	4,5	3,5	0,8	1,285714286
3	3,5	2,2	0,9	1,590909091

ლიტერატურა

1. Доброхотов В. Н. – 1961, Семена сорных растений. Москва
2. Кац Н. Я; кац С. В. Кипиани М. Г. – 1965, Атлас и определитель плодов и семян встречающихся в четвертичных отложениях СССР М. наука.
3. Негруль А.М. – 1960, Эволюция размера семян и ягод у винограда. Известия ТСХА, №2/33/ - с. 111-119.
4. Роллов А. Х. – 1908, Дикорастущие растения Кавказа их распространение свойства и применение.
5. Latalova M. – 1999, Palaeoecological reconstruction of the enviromental conditions and economy in early medieval Wolin – against a background of the landscape. Acta Palaeobotanica vol. 39 №2 Krakow.
6. Hillman G. On the origins of domestic rye – 1978, Secale cereale: the finds from aceramik Can Casan III in Turkey. – “Anatolian Studies” v.XXYIII, Ankara, p.157-174.

დანართი E 1

პალინოლოგიური კვლევის ანგარიში

ელისო ყვავაძე

ადგილი ნავენახარიდან 2005 წელს აღებული იქნა 10 ნიმუში. 5 მათგანი მოპოვებულია მეცხრე თხრილიდან, 3 – მეთორმეტე თხრილიდან და 2 კი მეთექვსმეტე თხრილის სხვადასხვა დონეებიდან. პალინოლოგიური მასალა დამუშავდა პალეობიოლოგიის ინსტიტუტის პალინოლოგიურ ლაბორატორიაში. გამოყენებულია დღეისათვის მიღებული სტანდარტული მეთოდი (პირველ ეტაპზე მასალა იხარშებოდა კალიუმის ტუტეში, მეორე ეტაპზე ხდებოდა მისი ცენტრიფუგირება მძიმე სითხეში, მესამე ეტაპზე კი ტარდებოდა მასალის აცეტოლიზი, ანუ შეღებვა).

ლაბორატორიული დამუშავების შედეგად ყველა ნიმუშში გამოყოფილი იქნა საკმარისი რაოდენობის მტვრის მარცვლები. აქ აღმოჩენილია აგრეთვე არაპალინოლოგიური ხასიათის ორგანული ნაშთები. ესენია მაგალითად ქსოვილის ბოჭკოები. ნაპოვნია ბამბის და სელის ქსოვილის და ძაფების ნაშთები. არის ფერადო ბოჭკოებიც (ტაბულა XIX, XX).

რაც შეეხება მტვრის მარცვლებს, განხილულ მასალის თითო ნიმუშში საშუალოდ დათვლილია 250-300 მტვრის მარცვალი. სულ განსაზღვრულია 65 მცენარის მტვერი. აქედან 19 მიეკუთვნება ხემცენარეებს და ბუჩქებს. ბალახოვნების ჯგუფში ჭარბობს ვენახების, ბაღების და ნათესების სარეველები.

თხრილი №9. სინჯები აღებულია საწნეხელების ფსკერიდან, ქვევრის ძირიდან და დამწვარი ფენიდან (1.82, 1.80, 1.75, 1.70, 0.83 მეტრის სიღრმეები, ცხრილი I). №1 საწნეხელის ფსკერის ანაფსეკში (ნიმუში 1) ხემცენარეთა შორის დომინირებს კულტურული ვაზის (*Vitis vinifera*) მტვრის მარცვლების რაოდენობა, სადაც აღმოჩენილია მისი 12 მტვრის მარცვალი (ტაბულა XVII). არის თხილის (*Corylus*) და ზეთის ხილის (*Olea*) მტვრის მარცვლები, რაც მეზღუდობაზე მეტყველებს. მესამე ნიმუშში არის აგრეთვე კაკლის (*Juglans regia*) მტვრის მარცვლები.

ბალახოვნებიდან აღინიშნება კულტურული მარცვლოვნები. ბევრია ნათესების და ვენახების სარეველა მცენარეთა მტვერი. ესენია ნაცარქათამა (*Chenopodiaceae*), მატიტელა (*Polygonum*), ციხორიუმი (*Cichorioidae*), თაღამურა (*Brassica*), წიწიბურა (*Fagopyrum*) და სხვა. რაც შეეხება ველურ მცენარეულობას იგი წარმოდგენილია ძირითადად ტყის ელემენტებით. ესენია ნაძვი (*Picea*), ფიჭვი (*Pinus*), რცხილა (*Carpinus*), მუხა (*Quercus*). ბუჩქების მტვრის მარცვლები ნაკლებია. ეს არის ეთედრა (*Ephedra*), ქაცვი (*Hippophae*), ტყის თხილი (*Corylus*). აღინიშნება აგრეთვე ტყის გვიმრებიც (ტაბულა XVIII). მაგალითად ტაბელა (*Pteris cretica*) და გვიმრუჭა (*Asplenium*).

მეცხრე თხრილის დანარჩენ სინჯებშიც აღმოჩენილია მტვრის მარცვლების თითქმის იგივე კომპლექსი. ბევრია ვაზის მტვერი. არის ზეთისხილი, მაგრამ აქ უფრო კარგადაა წარმოდგენილი ხემცენარეთა ჯგუფი. ნაპოვნია ცაცხვის (*Tilia*), წაბლის (*Castanea sativa*), მურენის (*Alnus*), ჯაგრცხილას (*Carpinus orientalis*), ფშატის (*Elaeagnus*) და შინდანწლას (*Thelycrania*) მტვრის მარცვლები (ცხრილი I).

თხრილი №12. აქ აღებული და შესწავლილია სამი სინჯი. სინჯი №6 აღებულია განხილულ თხრილის პირველი ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელთან, 1.90 მეტრის სიღრმეზე აქ გირჩავ იყო ნაპოვნი. მეორე სინჯი ავიღეთ მარნის კერასთან 1.88 მეტრის სიღრმეზე (ნიმუში 7). სინჯი №8 აღებულია თხრილის სამხრეთ კუთხეში 2 მეტრის სიღრმეზე და იგი კედლის ნაშთს წარმოადგენს. პირველ ორ ნიმუშში მტვრის მარცვლები უხვადაა, მაგრამ მესამეში მასალა უფრო ცოტაა. ისევე როგორც მეცხრე თხრილში აქაც არის კულტურული ვაზის მტვერი, ხორბალი, ზეთის ხილი, თხილი და სხვა მიწათმოქმედების მანქანებელი. კარგადაა წარმოდგენილი ვენახების და ხორბლეულობის ნათესების სარეველები. ბევრია მაგალითად მატიტელას, ხვართქლას, წიწიბურას მტვერი. არის აგრეთვე საძოვრების ელემენტები და ადამიანის საცხოვრებელთან არსებული ისეთი სარეველა, როგორიცაა მაგალითად ჭინჭარი (*Urtica*), ღორის ბირკა (*Xanthium*), მუჟუნა (*Rumex*). რაც შეეხება ველურ მცენარეულობას, ბევრია ფიჭვის მტვერი (*Pinus*) (ტაბულა XVII). მეორე დომინანტი არის ნაძვი (*Picea*), მესამე – ეფედრა (*Ephedra*). აღინიშნება სოჭის (*Abies*), მურყნის (*Alnus*), წაბლის (*Castanea*), ქაცვის (*Hippophae*) და თხილის (*Corylus*) მტვრის მარცვლები. არის ნაპოვნი ტყის გვიმრების სპორებიც. გვხვდება ხავსები.

თხრილი 16. აქ, ქვით შემოზღუდულ ორმოში აღებული და შესწავლილია ორი ნიმუში. პალინოლოგიური კომპლექსი ემსგავსება ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ მასალას. კარგადაა წარმოდგენილი კულტურული მცენარეთა მტვერი. ეს არის ვაზი, ხორბალი, ზეთისხილი, კაკალი, თხილი და სხვა. სარეველათა ჯგუფში ჭარბობს სამიწათმოქმედო ელემენტები. არის ძოვის და რუდერალური ელემენტებიც. ველური მცენარეების მტვერი ძირითადად ტყის ელემენტებია. ბევრია ფიჭვის (*Pinus*) და ეფედრის (*Ephedra*) მტვრის მარცვლები. კარგადაა წარმოდგენილი რცხილა (*Carpinus caucasica*), მურყანი (*Alnus*), თელა (*Ulmus*). ნაკლებია მუხის (*Quercus*), ცაცხვის (*Tilia*), ხეჭრელის (*Ostrya*), ქაცვის (*Hippophae*) და არყის (*Betula*) მტვერი. ტყის გვიმრების კომპლექსში შედის კილამურა (*Polypodium vulgare*), მარგალიტა (*Botrychium*), ტაბელა (*Pteris cretica*) და გველის ენა (*Ophioglossum vulgatum*).

ჩვენს მიერ გამოვლენილი პალინოლოგიური კომპლექსი გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ რომ XIII საუკუნის ბოლო და შემდგომი სამი საუკუნე ხასიათდებოდა სულ სხვა ეკოლოგიური პირობებით. მუხის, ცაცხვის, ფშატის, ქაცვის, ხეჭრელიც და ჯაგრცხილის არსებობა ტყეში მოწმობს, რომ აქ დღევანდელთან შედარებით გაცილებით თბილი კლიმატი უნდა ყოფილიყო. თბილი კლიმატის არსებობის დასტურია აგრეთვე გვიმრა გველის ენის, ტაბელას, კილამურას სპორების აღმოჩენა. ეველა ჩამოთვლილი მცენარე დღეს იზრდება მხოლოდ ტყის ქვედა ზოლში და 700 მ ზემოთ არ იზრდება (კეცხოველი 1971). აწყური კი მდებარეობს 960 მ სიმაღლეზე. სწორედ ამ თბილმა კლიმატმა შეუწყო ხელი მევენახეობის მძლავრ განვითარებას. უნდა აღინიშნოს, რომ მეცამეტე საუკუნეში მევენახეობის აღორძინება მოხდა ინგლისშიც (Utterstrom 1955).

აწყურში ზეთისხილის კულტურაც თბილი კლიმატის გარეშე ვერ მოხდებოდა. ზეთისხილი საქართველოში პალინოლოგიური მონაცემების თანახმად ანტიკურ ხანიდანაა ცნობილი (Connor, Kvavadze 2005). ბერძნების მიერ შემოტანილი ამ მცენარის პლანტაციები იზრდებოდა როგორც დასავლეთ, ასევე სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოში (კეცხოველი 1959). მაგრამ მეწვიდმეტე საუკუნის ბოლოს მომხდარმა ანომალურმა აცივებამ საბოლოოდ გაანადგურა მევენახეობა არა მარტო აწყურში. აცივება გლობალური და ხანმოკლე იყო. 1675-1715 წლებში ამ ძლიერმა აცივებამ

თითქმის მთელი ევროპა მოიცვა (Ле Руа Ладюри 1971, Кваваძე, Рухაძე 1989, Frenzel 1995, Кваваძე и др. 2007. ამ დროს მევენახეობა მთლიანად გაჩანაგდა ინგლისში და გერმანიაში (Ле Руа Ладюри 1971, გვ.13-14). ჩრდილოეთ ევროპაში ამ დროს არ იყო ხორბლეულის მოსავალი, ხოლო სამხრეთში ხორბლის ფასმა ძლიერ აიწია (Ле Руа Ладюри 1971, გვ.14).

ამ დროს კავკასიის მთებში ყველა ყინულის ფართობმა იმატა და ბევრმა მათგანმა დაიწყო სვლა დაბლობისკენ (გობეჯიშვილი 1989). აცივება საქართველოს ყველა რეგიონში მოხდა. მაგალითად, პალინოლოგიური მონაცემების მიხედვით ლისის ტბის მიდამოებში განხილული აცივების დროს ნაძვის ტყე იზრდებოდა (ყვავაძე 1999). ტყის ზედა ზოლმა ქვემოთ დაიწია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს მთებში. აწყურში საბოლოოდ განადგურდა ზეთისხილი და ვაზი. შემდგომში აქ ამ ორი კულტურის წარმოება დიდი მასშტაბებით ვეღარ მოხერხა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კეცხოველი ნ. 1959. საქართველოს მცენარეული საფარი. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.
2. კეცხოველი ნ. 1971. საქართველოს ფლორა, ტომი 1. მეცნიერება, თბილისი.
3. Гобеджишвили Р.Г. 1989. Ледники Грузии. Мецниереба, Тбилиси.
4. Кваваძე Э. В., Рухაძე Л.П. 1989. Растительность и климат голоцена Абхазии. Тбилиси, Мецниереба.
5. Кваваძე Э. В. 1999. Голоценовые колебания уровня озера Лиси и изменения положений нижней границы леса. В кн. Г.Мchedlishvili (ред.) Проблемы палеобиологии, том.1, Мецниереба, Тбилиси, стр.75-87.
6. Кваваძე Э. В., Коннор С.В., Нариманишвили Г.Н. 2007.Позднеплейстоценовая и голоценовая история развития ландшафтов окрестностей Цалки (Южная Грузия) по палинологическим данным озерных и почвенных образований. В кн. Г. Мchedlishvili (ред.) Проблемы палеобиологии, том.2, Тбилиси, стр.12-23.
7. Лэ Руа Ладюри Э. 1971 История климата с 1000 года. Гидрометеиздат, Ленинград.
8. Connor S.V., Kvavadze E.V. 2005. Climatic and human influences on vegetation dynamics around Tbilisi over the past 6000 years. Proceedings of the Georgian Academy of Sciences. Biological series B, vol.3, No.4, p. 64-76.
9. Frenzel B (ed.). 1994. Climatic trends and anomalies in Europe 1675-1715. Special Issue:ESF Project “European Palaeoclimate and Man” 8, vol.13, Gustav Fischer Verlag. Stuttgart.Jena.New York.
10. Utterstrom G. 1955. Climatic fluctuations and population problems in early modern history. The Scandinavian Economic History Review.

ცხრილი I. აწყურის ბეგლის კულტურული ფენებიდან მოპოვებული მცენარეთა მტერის და სპორების რაოდენობა

აწყური	თსრ.9	თსრ.9	თსრ.9	თსრ.9	თსრ.9	თსრ.12	თსრ.12	თსრ.12	თსრ.16	თსრ.16
ნიმუშის ნომერი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
სიღრმე (სმ)	170	175	180	83	181	190	188	200	100	90
სემცენარეთა ჯგუფი:										
Abies	0	1	1	2	0	1	0	0	0	0
Picea orientalis	7	8	7	20	3	11	2	5	10	17
Pinus	10	16	25	58	6	47	6	5	78	45
Cupressaceae	0	0	1	0	0	0	0	0	0	0


ბეგლი IV-266,320, სოფელი აწეური, 211/212კმ კომპლექსური ტექნიკური ანგარიში


Betula	0	0	0	0	0	0	0	0	4	2
Juglans regia	0	0	2	0	0	0	0	0	1	1
Pterocarya pterocarpa	1	0	0	0	0	0	0	0	0	0
Carpinus caucasica	1	0	1	1	2	0	0	0	10	0
Alnus	0	0	2	1	0	1	0	0	4	3
Quercus	1	0	0	1	0	0	0	0	2	2
Tilia	0	0	0	0	0	0	0	0	0	2
Castanea sativa	0	0	2	2	0	1	0	0	0	0
Ulmus	0	0	0	0	0	0	0	0	5	2
Rosaceae	1	0	0	0	0	0	0	0	0	2
Corylus	3	1	0	1	0	2	1	0	2	4
Hippophae	1	0	0	0	0	2	0	0	0	1
Olea europaea	3	4	6	0	0	0	5	0	1	3
Elaeagnus	0	5	0	0	0	0	0	0	0	0
Thelycrania type	0	0	3	3	0	0	0	0	0	0
Ephedra	5	0	2	0	1	4	1	0	18	3
Vitis vinifera	12	4	4	2	2	0	8	0	5	1
სუბტენარული ჯგუფის ჯამი	45	39	56	91	14	69	23	10	140	88
ბალახოვანი ჯგუფი:										
Poaceae	2	2	8	5	0	4	2	0	6	3
Triticum	0	0	0	0	0	3	0	0	1	0
Cerealia	2	0	0	3	0	3	0	0	2	1
Chenopodiaceae	10	29	46	82	7	6	0	3	26	4
Chenopodium album	0	0	0	0	0	1	0	0	0	0
Artemisia	1	0	0	0	0	9	0	0	0	1
Artemisia annua type	0	0	0	3	0	9	17	0	3	0
Aster type	3	0	5	9	2	3	3	5	1	2
Achillea	0	0	0	0	0	9	0	0	3	0
Cichorioidae	32	11	9	22	5	19	18	4	17	11
Carduus	0	0	0	0	0	9	1	0	2	1
Cirsium	0	0	1	0	0	9	0	0	1	0
Serratula	0	0	2	0	0	4	0	0	2	0
Xanthium	0	0	0	0	0	1	0	0	0	0
Fagopyrum	7	2	1	0	0	3	2	0	0	2
Polygonum type	12	8	9	25	0	8	6	3	11	6
Polygonum aviculare	1	0	0	1	0	9	0	0	1	0
Rumex	0	0	0	0	0	2	0	0	0	3
Convolvulus	0	0	0	0	0	2	0	0	2	0
Ranunculus	0	0	2	0	0	0	0	0	2	0
Linum maritimum	0	0	0	0	0	0	0	0	0	1
Primula	0	0	0	0	0	0	0	0	0	1
Apiaceae	4	0	7	6	0	7	3	0	11	3
Caryophyllaceae	0	0	3	4	1	2	0	3	0	2
Saxifragaceae	0	0	2	4	0	0	0	0	6	8
Boraginaceae	0	0	8	7	0	2	0	0	0	0
Epilobium	0	0	2	0	0	4	0	0	0	0
Plantago m/m	0	0	0	0	0	0	0	0	1	1
Plantago lanceolata	0	0	0	1	0	0	0	0	2	0
Helianthemum	1	0	0	0	0	0	0	0	0	0
Rosaceae	0	0	0	0	0	3	0	0	7	0
Myriophyllum	0	0	0	0	0	1	0	0	0	0
Fabaceae	0	0	0	0	0	0	0	0	12	3
Trifolium	0	0	2	2	0	0	0	0	0	0
Lamiaceae	3	0	0	5	0	3	0	0	6	8
Brassicaceae	4	5	0	0	2	4	4	0	3	6
Sphagnum	0	0	0	0	0	0	0	0	0	1
Bothrychium lunaria	0	0	0	1	0	0	0	0	1	0
Polypodiaceae	9	2	0	3	0	0	2	0	12	3
Polypodium vulgare	0	0	0	0	0	0	0	0	0	1
Polypodium serratum	0	0	0	0	0	0	0	0	3	0
Ctyptogramma crispa	0	0	0	0	0	1	0	0	0	0
Pteris cretica	7	0	0	0	0	0	1	0	4	2

ბეგლი IV-266,320, სოფელი აწეური, 211/212კმ კომპლექსური ტექნიკური ანგარიში


Undeterminate NAP	11	4	10	11	3	13	4	2	13	12
ბაღასიფანთა ჯამი	109	63	117	194	20	153	63	20	161	86
ბაღასიფანთა საერთო ჯამი:	154	102	173	285	34	222	86	30	301	174

ტაბულები







III




IV




V




VI






VIII



IX



X



Trench N9




Trench N12



Trench N20

XI


ATSKURI
IV - 266
IV - 320



05.235.320




05.169.266



05.58.266




05.25.320



05.38.266




05.37.266




05.104.266




05.250.320



05.39.266



05.58.266



XII




XIII

ATSKURI

IV - 266


IV - 320




05.66.266




05.62.266



05.65.266




05.64.266





05.63.266



05.139.266



05.134.266




05.55.266



05.54.266



0 2 4 6 8 10



05.49.266



05.88.266



0 1 2 3 4 5

XIV

**ATSKURI
IV - 266**



1



2



3

XV



XVI

ATSKURI
IV – 266
IV – 320



XVII

